



ნოჯისური

ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე,
მძინარეც ამას ვდუდუნებ
ვაჟა-ფშაველა

ლიტერატურული გაზეთი № 4 (21)

მარკანი 2011

ვაჟა-ფშაველა

გაპიქების ანდობი

შვილო, რად სტირი ნატარა,
რა უბედობა გენვია?
ჭირში ყოფნის დროს გაძლება
მუდამ ვაჟკაცის წესია!
ვაჟკაცს არ შვენი ცრემლის ღვრა,
ქვითინი დიაცურადა,
მტერს ხმალი უნდა საფთხულად,
კვალზედ მიყოლა მგლურადა.
აგრემც ექმნები პაპაშენს
დღეგრძელიო და სრულიო,
ნუ დაისვენებ, ებრძოლე
მტერს, მინამ გიდგას სულიო,
შვილო, მეც ეგრე ვიყავი,
ეგ არის ჩვენი რჯულიო.



გელათის მონასტერი (ქუთაისის მახლობლად),
საერთო ხედი, 1106-112566.

სამეზბელოს

მეცხრამეტეში დიდ პოეტებს შენ არ ახსოვდი, —
არც ერთი ლექსი შენზე არც ერთს არ უწერია...
მეგრულთან ერთად ხმაში მუდამ ქართულს აქსოვდი,
დედას აკვანი აქ ქვეყნისთვის დაურწევია!
ამ მეოცეში კანტიკუნტად გინერეს ლექსი, —
ზოგმა უფულოდ, ზოგმა წრფელად, ზოგი დადუმდა
დღეს გათელილო, გაძარცულო, რა მწარედ კვნესი,
ნუთუ სამოთხე სიყვარულის გაუფასურდა?
ჩემო თოლიგე! ჩემო ჯავრო — ჯერაც უთქმელო,
შენი ლაღარი გულისგულში — აგერ ანთია!
შენ მტერთა მიერ ჯვარცმულო და ჭირდაუთვლელო,
საქართველოსთვის თავდადება არ გეპაბია!

ზაურ მოლაშხია



საკათალიკოსო ტაძარი სვეტიცხოველი, ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან,
ხუროთმოძღვარი არსუკიძე, მცხეთა, 1010-102955.



ვარძია (ასპინძის მუნიციპალიტეტი), კლდეში ნაკვეთი მონასტერი, XII საუკუნე.

ლევან ფანჩიძე

მე დამესიზმრა

წვიმდა და აღარ გადაიდარა,
ძლივს მიაღწია სულმა ხატამდი,
მე დამესიზმრა — ვიყავ ნიკალა
და ფუნჯით ქართულ ზეცას ვხატავდი.
როცა სიცოცხლე ასე ტკბილია,
ვინ გაიმეტა ქართლი ესოდენ?
მე დამესიზმრა — ვიყავ ილია
და წინამურთან ტყვიას მესროდენ.
ვარ ყველა დროის თანამედროვე,
ფიქრით მივცურდი ნატვრის ყურემდი,
მე დამესიზმრა — ვიყავ თევდორე
და ყიზილბაშებს თავგზას ვურევდი.
დაფიქრებული მოდის როინი,
ცა იმერეთის მხობლავს ტილოთი,
მესიზმრა — ვიყავ ვალაკტიონი
და თვითმკვლელობას ჩემსას ვცდილობდი.
ვერ გამოვიცან სოფლის იგავი
ბეთლემის მხრიდან ქრისტეს მოსვლამდი,
მე დამესიზმრა ბერი ვიყავი
და სინას მთიდან მამულს ვლოცავდი.
რამდენი ლექსი დამრჩა უთქმელი,
მოჰქრის არაგვად ტალღა სტრიქონთა,
მე დამესიზმრა — ვიყავ რუსთველი
და სამშობლოდან ცრემლი მიმქონდა.
იორის პირას ცეცხლი მინთია,
დღე იმზირება ატმის ჩეროდან,
მე დამესიზმრა — ვიყავ მინდია
და ჩემი სიბრძნის არვის სჯეროდა.
ვიდრე შემოვა მწუხრი ღამისა,
ჩემო ხატებავ, ჩემო ლერწამო, —
მომეცი თაფლი უნდა წავისვა
და ცოტენსავით შენთვის ვენამო!



გვაკატყებს ამას მოღვაჯე

ჩვენს ცა-მინას, — მონამეა
ხმალ-ხანჯალი, კვერი, ქვევრი...
სიხარული ცოტა ახსოვს,
დარდ-ვარამი — ბევრზე ბევრი.
მაგრამ, იცით ვინ გვლენავდა,
ან ვაზს ძირში ვინა სჭრიდა?
უცხო ტომი! ამდაგვარი
ჭირი მხოლოდ მათგან გვჭირდა!
ახლა თვით ვართ დამქცევები
მამაპაპეული ფუძის...
გვაპატიებს ამას მოღვაჯე? —
მამაზეციერმა უწყის!

ქიშვარდ ისაკაძე

ღმერთო, გვიკლიეკე სულიეკების ნაგსაყუდელო!..

„...რაში გჭირდებათ ქართველებს,
XX-ე საუკუნეში, ეკლესია მონასტრები?
მე გირჩევდით, ამ მონასტრის ტერიტორიაზე
(საუბარია გელათის მონასტერზე) გააშენოთ
რესტორნები, აბანოები, საუნები,
ყველანაირი გასართობი დაწესებულებები,
რაც მოგიტანდათ მილიონობით შემოსავალს
და მოგებას. ჩვენს ქვეყანაში ასეთი დაწესებულებები
უამრავია...“

**ვან დე-მური ჰულსხოფი, ჰოლანდიელი
ინვესტორი, ერთ სექსიანთა ქორნიების
მგზნებარე მიმდევარ-პროპაგანდისტი.**

„...როგორ ვირწმუნო, რომ თქვენ,
ქართველები, სვეტიცხოველზე უკეთეს
ნაგებობებს ვერ ააშენებთ? მე რომ
მკითხონ, ამ ტაძარს, გალავანთან
ერთად მთლიანად დავანგრევდი
დამ ის ადგილას ათასგვარი ევროპული
სტილის გასართობი დაწესებულებებს
გავხსნიდი...“

**აჰმედ უსტაფა-ქემალი, თურქი
ბიზნესმენი, „კოლგოტკებში“ გამოსკვანჩული
ტრანსსექსუალი — ტრასვესტიტი.**

„...დიდებული დაწესებულება გქონიათ
ქართველებს (საუბარია ვარძიაზე),
მაგრამ მიკვირს დღემდე, რომ უმოქმედოა.
მის მრავალრიცხოვან ოთახებში,
თქვენ, ქართველებს, შეგიძლიათ
მოაწყობოთ პედოფილია, ლესბოსელთა,
ჰომოსექსუალებისთვის ვენებიანი
ლონისძიებები, ეს კი, მო-

გეხსენებათ, შემოსავლის დამატებითი
წყაროა!..“

**როი ეშბერნი, კალიფორნიელი
სენატორი, ჰომოსექსუალი ორიენტაციის
მიმდევარი.**

(გაზეთებიდან)

სოდომური ცოდვის ცეცხლსა და
გოგირდებში შთანთქმულთა, გადაგვარებულ-
გადაჯიშებულ-გადაკეთებულთა გასაგონად:

„თუ არ იქნება გელათი
სვეტიცხოველი, ვარძია, —
თავში გიხლიათ ევროპა,
ამერიკაც და აზიაც!!!“

წუთისოფელი ამნაირად იმიტომ
მიდის, —
კაი ხანია, კაცი არ ჩანს ნამდვილად
დიდი!

წესი და რიგი, — დღეს როა
ირგვლივ, —
მყის დაიმსხვრევა, — გამოჩნდება
როგორც კი იგი!
მუხრან მაჭავარიანი

„ერი, რომ საკუთარ ტერიტორიას
და
ენას დაკარგავს, უმჯობესია
მოკვდეს.“
კონსტანტინე გამსახურდია

დიდოსტატი:
„ვაი, შენ ჩემო უბედურო
საქართველოვ!“



(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ნოვოზიური“ №19,20).

იბერებს სამყარო ოდიდგან მაღალი კულტურისხალხად მიიჩნევა. ისინი, გარდა ბისკაიის ყურისა, ცხოვრობდნენ ხმელთაშუა ზღვის აუზშიც, კერძოდ: კუნძულ კორსიკაზე, კართაგენის, ეგვიპტის, სამხრეთ იტალიის, კუნძულ კრეტასა და სხვა ტერიტორიებზე, მათი ძირითადი ნაწილი კი, როგორც ავღნიშნეთ ბასკონიაში და პირენეების მთის კალთებზე სახ-

თავისი პირადი გვარდია სულ გასკონელებით ჰყავდა დაკომპლექტებული. მან იცოდა გასკონელების ფასი ბრძოლის დროს. ისინი უშიშარი და შეუპოვარი მებრძოლები იყვნენ. ასევე ცნობილია, რომ ა.დიუმას რომანის „სამი მუშკეტერის“ გმირი დე ტრეველი, მეფის მუშკეტერების სარდალი, წარმოშობით ბასკი (გასკონი) იყო. როდესაც აკადემიკოსმა ნიკო მარმა გასკონეთში იმოგზაურა, იგი განცვიფრებული დარჩა. მას თავისი თავი მშობლიურ გურიამი ეგონა. ექსკურსიის დროს მან ნახა სოფელი ტრევილ-ვილი. ნიკო მარი წერს, რომ ექსკურსიამძღოლები ტურისტებს სიამაყის

თუ ვერსია, ამ ნაშრომში რომ გააქვს განხილული. საერთოდ, მცირეაზიელები, როგორც დამოუკიდებელი ენობრივი ოჯახი, ცნობილმა ენათმეცნიერმა პრაულ კრემერმა გამოყო, ხოლო ანთროპოლოგიურად მისის მთლიანობა ფელიქს ლუშანმა ჩამოაყალიბა. ძველი აღმოსავლეთის ისტორიაში მცირე აზიას განსაკუთრებული ადგილი უკავია, იმითაც, რომ აქ არც ერთი სემიტური მოდემის ხალხი არ ყოფილა დამკვიდრებული. ენათმეცნიერები გვარწმუნებენ, რომ თუ მხედველობაში არ მივიღებთ შემდეგში გადმოსახლებულ ინდოევროპულ ხალხს, ყველა

ამ გზით გავრცელებამ დაამკვიდრა, შეიძლება გაცილებით ადრე, ვიდრე 3500 წლის წინათ, მოხენჯო-დაროს, პარაპას, ქხმერების, ტიბეტის თეთრკანიანი იდუმელებით მოცული ტომისა და იაპონიის ჩრდილო ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხის — აინების კულტურები. ამ მეორე გზის შესახებ, ალბათ, ჩვენ წინამდებარე ნაშრომის მეორე ნაწილში გვექნება საუბარი. როდესაც მცირეაზიელების (იბერები) კავკასიიდან ხმელთაშუა ზღვის აუზში მოვიდნენ და დასახლდნენ, თითქოსდა მათ აქ არ უნდა შეენწყვიტათ მიგრაცია, მაგრამ ეს ასე არ მოხდა, გადიოდა დრო, წლები, და ისინი თანდათან იწყებდნენ განთესვას დედამიწის სხვადასხვა რეგიონში. ქართველთა ტომები ფაქტობრივად გამოდიოდნენ, მისიონერების როლში. ჩადიოდნენ, რა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, მათ აბორიგენებთან მიჰქონდათ ცივილიზაცია და განათლება. როგორც ჩანს, ეს მოსაზრება, სიმართლეს შეეფერება, რადგან საქართველოს ტერიტორიიდან ლოკალური კატასტროფებისა და კატაკლიზმების დროს დაახლოებით 400 000-მა კაცმა მიატოვა სამშობლო. ამ ერთმეჭა ხალხს სრულებით არ ესაჭიროებოდა ახალი მიწების დაპყრობა ან ათვისება, ისედაც ყოფნიდა ის ტერიტორიები, რაც მათ ეკავათ, როგორც ჩანს მათი საყოველთაო განთესვა დედამიწაზე იყო, ველურ აბორიგენტთა შორის ცივილიზაციის გავრცელება. საყოველთაოდ არის ცნობილი ალევორიული მითი. დედამიწაზე ღმერთის მიერ ორი სქესის წარმომადგენლის — ადამის და ევას მოვლინების თაობაზე. ღმერთმა ისინი მოავლინა ქვეყნად იმისთვის, რომ ველური ხალხის შემეცნებაში გარდატეხა შეეტანათ. თავდაპირველად, ადამი და ევა, სამოთხეში ცხოვრობდნენ. მათ ღმერთმა აუკრძალათ შემეცნების ხის ნაყოფის შეჭმა, მაგრამ მოხდა ისე, რომ გველის მაცდური ხვეწნა-მუდარით მათ ეს ნაყოფი იგემეს. ამის შემდეგ ისინი ღმერთმა ამისთვის ორივე დასაჯა და სამოთხიდან გააძევა. სამოთხიდან გაძევებული ადამი და ევა ხალხს შეურაცყოფდნენ და გაუზიარეს ყოველივე ის, რისი ცოდნაც აუცილებელი იყო მათთვის. მსგავსი ლეგენდები ბევრი ხალხის ისტორიაშია შემორჩენილი, მაგალითად, შუამდინარეთში „გილგამესის“ ეპოსი, რომელშიც ენიქდუეს განკაცების მითია მოთხრობილი. ასეთივე აზრია ჩაქსოვილი ინკების ხალხის ლეგენდებში ტიკი-კაკას მაღალმთიანი ტბის შესახებ თითქოსდა წარღვნის შემდეგ, პირველი მზის სხივი, ტიკი-ტაკას ტბაში არსებულ ბოცვს დაეცა და ამის შემდეგ ღმერთმა ბორცვზე ჩამოსვა პირველი მამაკაცი და

მზის უპილავი

რეკავ პრისტავი

ხლა შევეხებით ტურ ჰეიერდალის ჰიპოთეზას და ვნახოთ, თუ ვინ იყო ის ხალხი, რომელიც მოვიდა სამხრეთ ამერიკის კონტინენტიდან და დასახლდა პოლინეზიის, მელანეზიისა და წყნარი ოკეანის სხვა კუნძულებზე, ვინ იყო ის ხალხი, რომლებსაც ტურ ჰეიერდალი ლეგენდარული ორეხონებს უწოდებს დამ ას ამერიკის კონტინენტის ძირითად მოსახლეობად თვლის. ამ საკითხში რომ უფრო უკეთესად გავერკვეთ, ჩვენ აღნიშნული ხალხის ისტორიაში რამდენიმე საუკუნით უკან უნდა დავბრუნდეთ და ყველაფერი დავიწყოთ იქიდან, საიდანაც ისინი თავდაპირველად წამოვიდნენ, რადგან მათ თავიანთი მშობლიური მიწა-წყალი, იქ მომხდარი მიწისძვრების გამო, იძულებით დატოვეს და მთელ მსოფლიოში გაიფანტნენ.

ლობდა და მათ სამყარო ბასკების სახელით იცნობს. იბერები მამაცი ზღვაოსანი ხალხი იყო. მათ კაცობრიობის ისტორიაში პირველებმა დაინყეს ვეშაპებზე ნადირობა და მისი ხორცისა და ქონის გამოყენება. ჰქონდათ ხომალდები, არც თუ ისე დიდები, მაგრამ ძალზე სწრაფმავალნი. თავისუფლად დაცურავდნენ ბისკაიის ყურეში და ატლანტიკის ოკეანის ახლო-მახლო რეგიონებში. კარგად იცნობდნენ საანავიგაციო ჩვევებს, ქარების მიმართულებებს და რიფების მდებარეობებს ასევე შესანიშნავად ფლობდნენ ასტრონომიას. იცოდნენ ციური სხეულების გადაადგილების ურთულესი კანონები, მათი საშუალებით კარგად იკვლევდნენ გზებს ზღვებსა და ოკეანებში. მტერი ვერ ბედავდა თავის ფლოტის ბისკაიის ყურეში შემოყვანას.

გრძობით უყვებოდნენ, რომ ა.დიუმას რომანის „სამი მუშკეტერის“ გმირი დე ტრევილი, სოფელ ტრევილ-ვილიდან არის წარმომობით. ამ რამდენიმე წლის წინათ, ქართველმა მშენებელმა ინჟინერმა შოთა ხვედელიძემ, სცადა გაეშიფრა საყოველთაოდ ცნობილი, ბასკეთში, არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნი იბერიული ტაბულა, რომლის ტექსტი მეცნიერებისთვის აუხსნელი იყო დიდი ხნის განმავლობაში. მან სცადა ამ ტექსტის ნაკითხვა ძველი ქართული დამწერლობის მისადაგებით. თქვენ წარმოიდგინეთ რომ ტაბულა „ალაპარაკა“. შოთა ხვედელიძემ იბერიულ ტაბულაში ამოიკითხა, რომ დაახლოებით XV საუკუნეში ჩვენს ერამდე, საქართველოში მოხდა ძლიერი მიწისძვრები. ამ მიწისძვრის დაწყება იწინასწარმეტყველა ქართველ ტომთა ბელადმა რომ. მან მთაში იხილა ყვითელი ფურისულა, რომელიც მიწისძვრების მოლოდინში ყვავილობას წყვეტდა და კვდებოდა. რომ მოუწოდა ხალხს და ამცნო მათი მოსალოდნელი საშიშროება. ხალხის ნაწილმა ირწმუნა რიოს წინასწარმეტყველები და დაახლოებით 400 000-მა სულმა სწრაფად დასტოვა საქართველოს ტერიტორია. ისინი გაემართნენ მზის ჩასვლის მიმართულებით. ნაწილი ქართველი ტომებისა შემდეგში ბასკებად წოდებულნი, კართაგენსა და კორსიკაში დასახლდნენ. უმეტესმა ნაწილამ კი პირენეის მთების კალთებსა და ბასკიის ყურეში დაიდო ბინა.

დანარჩენი ადგილობრივი მკვიდრნი, ზოგიერთ სპეციფიკურ განსხვავებათა მიუხედავად, ქმნიან ენათა საკუთარ ოჯახს, რომელსაც კავშირი არა აქვს არც ინდოევროპულ და არც სემიტურ ენებთან. პირიქით — გვევლინება სრულიად დამოუკიდებელი სახით მათ გვერდით. ეთნოლოგიურად ისინი ქმნიან მთლიან მასას, რომლებიც, მოკლე თავითა (ჰიპერბრაზიციეფალები) და მრუდე ცხირით ხასიათდებიან. ამერიკელი მეცნიერი ჯ.კეზი თავის ნიგში „აღდგომის კუნძული — სასაცილო ღმერთების სახელი“ რომელიც მან 1931 წელს გამოსცა ინდიანოპოლისში, ამტკიცებს, რომ ხალხმა, რომლებიც დღეს პოლინეზიელთა სახელით არის ცნობილი, უძველეს დროში დაიწყეს გზა შუამდინარეთიდან. გაიარეს ინდოეთი, ინდოჩინეთი, მალაიზია, მიკრონეზია, მარკიზის კუნძულები, კუნძული ტაიტი და საბოლოოდ მოვიდნენ აღდგომის კუნძულზე.

ეს მოსაზრება, როგორც ჩანს, სინამდვილეს არ შეეფერება, რადგან დღევანდელი კამბოჯის ტერიტორიაზე, სამხრეთ ნაწილში ცხოვრობს უცნობი მოდემის ხალხი — ქხმერი, რომელთა წარმომადგენლებიც არც ანთროპოლოგიურად და არც ეთნოგრაფიულად, არ გვანან ადგილობრივ მონღოლურ ხალხს — კამბოჯელებს. ის კი არა და კომპეტენტურ მეცნიერთა ერთი ნაწილი იმასაც კი ამტკიცებს, რომ დიდებული ანგკორის ტაძარი, რომელიც კამბოჯის ტერიტორიაზე მდებარეობს, ამ ხალხის ქემერების აგებულია და მას არავითარი საერთო არა აქვს კამბოჯის მკვიდრ მოსახლეობასთან.

რომელი პოლიტიკური მოღვაწე და ისტორიკოსი, მარკუს ტერენციუს ვარონი (116-27 წ.წ. ჩვენს ერამდე), რომელიც პომპეის ელჩი იყო ესპანეთში, თავის მეცნიერულ ნაშრომში „სიძველენი“ წერს, რომ იბერიის (ახლანდელი ესპანეთი) მიწა-წყალზე, არიან საქართველოს ტერიტორიიდან წამოსულები XV საუკუნეში ჩვენს ერამდე. მათ თავიანთი მიწა-წყალი დატოვეს ძლიერი მიწისძვრისა და კატაკლიზმების გამო. თავდაპირველი ისინი კატალონიასა და არაგონიაში დასახლდნენ, მხოლოდ შემდეგ გადასახლდნენ ბისკაიის ყურის სანაპიროზე ბასკონიაში. ასე რომ ქართველი ტომები-იბერები, ბისკაიის ყურეში დასახლდნენ 3500 წლის წინათ. ამ მოსაზრებას, გარდა მარკუს ტერენციუს ვარონისა, იმეორებდნენ: აპიანე, დიურიკი, დე მორგანი და დორინგი.

დიდი ბერძენი ფილოსოფოსი პლატონი წერდა, რომ უძველეს დროში იყო ქვეყანა ატლანტიდა, რომელიც კატასტროფის დროს განადგურდა და იბერები ამ კუნძულზე გადარჩენილი ხალხის შთამომავლები არიანო. უნდა ვაღიაროთ რომ მეცნიერთა ერთი ნაწილი მართლაც მომხრეა იმ ჰიპოთეზისა, რომ იბერები ატლანტიდის პირდაპირი შთამომავლები არიან, თუ ამ ჰიპოთეზას არ გავიზიარებთ, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ იბერები ციდან ჩამოცვენილან, იმდენად უნიკალური ხალხია ისინი. ასე რომ ამ ჰიპოთეზის მეტი არაფერი რჩება.

შოთა ხვედელიძის ამ საინტერესო მოსაზრებას ბევრი ცნობილი მეცნიერი გამოეხმაურა და სათანადო დადებით შეფასება მისცა მას. * * *

ეს გზა უსათუოდ, არის შუამდინარეთის ხალხის წყნარი ოკეანის კუნძულებზე გადაადგილების მეორე გზა. სწორედ ეს მეორე გზა გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ უძველესი ქართული ტომების — შუმერების ცივილიზაციის

ამის შემდეგ ისინი ღმერთმა ამისთვის ორივე დასაჯა და სამოთხიდან გააძევა. სამოთხიდან გაძევებული ადამი და ევა ხალხს შეურაცყოფდნენ და გაუზიარეს ყოველივე ის, რისი ცოდნაც აუცილებელი იყო მათთვის. მსგავსი ლეგენდები ბევრი ხალხის ისტორიაშია შემორჩენილი, მაგალითად, შუამდინარეთში „გილგამესის“ ეპოსი, რომელშიც ენიქდუეს განკაცების მითია მოთხრობილი. ასეთივე აზრია ჩაქსოვილი ინკების ხალხის ლეგენდებში ტიკი-კაკას მაღალმთიანი ტბის შესახებ თითქოსდა წარღვნის შემდეგ, პირველი მზის სხივი, ტიკი-ტაკას ტბაში არსებულ ბოცვს დაეცა და ამის შემდეგ ღმერთმა ბორცვზე ჩამოსვა პირველი მამაკაცი და

მაგალითად, აპიანე II საუკუნეში, ჩვენს ერამდე, წერდა რომ კავკასიის იბერები და ესპანეთის იბერები ნათესავები არიანო. ცნობილი მეცნიერი კ. ულენბეკი კი თვლის, რომ გენეტიკის თვალსაზრისით პირენეისა დაკავკასიის განცალკევება ყოვლად დაუშვებელია.


ასეთივე იბერების შტო არის პირენეის მთების ჩრდილოეთით მცხოვრები ხალხი (ახლანდელი საფრანგეთის ტერიტორია) — გასკონები (იგივე ბასკები). ფრანგი რომანისტი ალექსანდრე დიუმას (მამა) წაწარმოების „სამი მუშკეტერის“ გმირი დარტანიანი გასკონელია, იგი გულადი ტემპერამენტიანი და ფიცხი მეომარია. ამიტომაც იყო, საფრანგეთის იმდროინდელ მეფეს, ლუდოვიკო XIV

ახლა კი ოდნავ უნდა გადავუხვიოთ ძირითად თემას, რადგან საკითხები, რაზეც არ გვექნება საუბარი, ისეთივე საჭირო და საინტერესოა, როგორც ყველა ის ჰიპოთეზა

ამის შემდეგ ისინი ღმერთმა ამისთვის ორივე დასაჯა და სამოთხიდან გააძევა. სამოთხიდან გაძევებული ადამი და ევა ხალხს შეურაცყოფდნენ და გაუზიარეს ყოველივე ის, რისი ცოდნაც აუცილებელი იყო მათთვის. მსგავსი ლეგენდები ბევრი ხალხის ისტორიაშია შემორჩენილი, მაგალითად, შუამდინარეთში „გილგამესის“ ეპოსი, რომელშიც ენიქდუეს განკაცების მითია მოთხრობილი. ასეთივე აზრია ჩაქსოვილი ინკების ხალხის ლეგენდებში ტიკი-კაკას მაღალმთიანი ტბის შესახებ თითქოსდა წარღვნის შემდეგ, პირველი მზის სხივი, ტიკი-ტაკას ტბაში არსებულ ბოცვს დაეცა და ამის შემდეგ ღმერთმა ბორცვზე ჩამოსვა პირველი მამაკაცი და

ამის შემდეგ ისინი ღმერთმა ამისთვის ორივე დასაჯა და სამოთხიდან გააძევა. სამოთხიდან გაძევებული ადამი და ევა ხალხს შეურაცყოფდნენ და გაუზიარეს ყოველივე ის, რისი ცოდნაც აუცილებელი იყო მათთვის. მსგავსი ლეგენდები ბევრი ხალხის ისტორიაშია შემორჩენილი, მაგალითად, შუამდინარეთში „გილგამესის“ ეპოსი, რომელშიც ენიქდუეს განკაცების მითია მოთხრობილი. ასეთივე აზრია ჩაქსოვილი ინკების ხალხის ლეგენდებში ტიკი-კაკას მაღალმთიანი ტბის შესახებ თითქოსდა წარღვნის შემდეგ, პირველი მზის სხივი, ტიკი-ტაკას ტბაში არსებულ ბოცვს დაეცა და ამის შემდეგ ღმერთმა ბორცვზე ჩამოსვა პირველი მამაკაცი და

ოჯუჯის გამორჩეული შვილები



ლეო ქიაჩელი (1884-1963)
მწერალი




ნიკოლოზ შენგელაია
(1903-1943) კინორეჟისორი




შოთა მესხია (1916-1972)
ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი



ოლია კაკაჩია — სოსელია
(1905-1995) ისტორიის
მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი



დავით ქეზურია 1928-2003)
ფილოსოფიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი



ნოდარ მეზონია (1927-2010)
ფილოსოფიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი



ჯუმალ მეზონია (დ.1939) ფიზიკა-
მათემატიკის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი



იაკობ (იაშა) მესხია (დ.1946)
ეკონომიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი



მარგო ფონიაევა (დ.1933)
ბიოლოგი, საპატიო
პროფესორი




ლანა მზარელუა (დ.1973)
გეოგრაფიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი



გრიგოლ (გრიშა) საჯაია
(1909-1984) ჟურნალისტი




მამია კაკაჩია (1926-1990)
ფილოსოფოსი, რესპუბლიკის
დამსახურებული
ბიბლიოთეკარი, ლ. ქიაჩელის
სახელობის ბიბლიოთეკის გამგე
1956-1984 წლებში, ლ. ქიაჩელის
სახლ-მუზეუმის დირექტორი
1984-1990 წლებში



გია მესხია (დ.1965)
მედიცინის მეცნიერებათა
კანდიდატი, ექიმ-
ნარკოლოგი




დანიელ ფიფია (1896-1924)
პოეტი



ალექსანდრე მესხია (1878-1903)
ფილოსოფოსი, პოეტი




ვახტანგ ხარჩილავა (1948)
პოეტი, მწერალი



რამინ საჯაია (1956) პოეტი




მანანა კაკაჩია (1958) პოეტი



ვახტანგ გულუა (1938-2005)
პოეტი




ლევან მესხია (1888-1964)
მეცენატი



ანდრია კაკაჩია სახალხო
მთქმელი (1841-1951)



ნიკოლოზ კაკაჩია (1904-1991)
ლოტბარი



გუდია კაკაჩია (1896-1979)
ფალავანი



გულიოკ კაკაჩია (1939)
ძალოსანი, კინომექანიკოსი.



(დასასრული. დასაწყისი იხ „ნოვოზიური“ №20).

ამდენი კითხვების პასუხად შეიძლება ვინმემ თქვას, რომ სიდუხჭირემ გააბოროტაო ადამიანი, რასაც მე ვერ გავიზიარებ, რამეთუ გასაჭირი, პირიქით, მუდამ აერთიანებდა და კრავდა ადამიანებს. ჩვენი ათასწლეულების ისტორიას სწორედ რომ ამის ურიცხვი მაგალითი აქვს. უპირაინა აქვე ვთქვა ხმამაღლა, რომ ახალგაზრდების გარკვეული ნაწილის სულის ასეთ და-

შურდულივით შემოვარდნამ საქართველოში, რასაც მაყრიონად მოჰყვა (რაც არაერთგზის მითქვამს) – ნარკომანია, ჰომოსექსუალიზმი, სპიდი, პროსტიტუცია, იელოველთა მომრავლების წინასწარ გამიზნული ხაფანგი და ა.შ. ისედაც დაუძღურებულ ჩვენს ქვეყანას, რომელსაც არაერთი ომი აქვს გადატანილი, ზემოთჩამოთვლილი „ბუკეტი“ რასაც დააკლებდა, არ უნდა იყოს ძნელი წარმოსადგენი. ისედაც დაკარგულ აფხაზეთ-

თბილისი – ერთ დროს მეცნიერების და კულტურის კერად აღიარებული ჩვენი საამაყო დედაქალაქი. საფიქრალია ისიც, რომ საზღვარგარეთ გასულ ქართველთაგან ვინც მეტ-ნაკლებად უკეთეს პირობებში მოიკიდებს ფეხს, ალბათ აღარც დაბრუნდება უკან. არადა ჩვენ ისე დავცოტავდით, რომ სად გვყავს დასაკარგი ქართველობა?! ამასთან დაკავშირებით ჩვენი სასიქადულო მწერალი ბატონ ოტია იოსელიანი თავის

ლაზე გვიან კვდებაო. ღმერთმა დაგვიფაროს ამინ! მე როგორც სოლიდური პედაგოგიური სტაჟის მქონე ადამიანს, მიმაჩნია, რომ მრავალ მნიშვნელოვან პრობლემას შორის, სწორედ მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდასა და სწავლებას სჭირდება განსაკუთრებული ყურადღება და სრულიად სხვაგვარი მიდგომა (სამშობლოს სიყვარულის აღზრდა თითოეულ მოზარდში მისი ისტორიული ღირსებების წარმოჩინებით, აწმყოზე თვალის ახელით და სამომავლო პერსპექტივების დანახვებით რომ უნდა, ეს არა მგონია სადავო იყოს). არადა განათლების სფეროში ყველაფერი სათანადოდ რომ ვერ არის, თვით წლებანდელ-

ერთი ეპიზოდის შესახებ დღევანდელი გადასახედიდან

მარგო ფონიავა

ამ ფიქრებიდან გამორკვეულმა ჩვენს დღევანდლობას გადავავლე თვალი და იგი მეტად დამაფიქრებელი, მეტად დამამძიმებელი მეჩვენა. იქნებ უფრო სწორი იქნებოდა მეთქვა – საგანგაშოც კი (ნეტამც ვცდებოდე)! მაგრამ ხომ ფაქტია, რომ ბოლო წლებში შექმნილმა მთელმა რიგმა მოვლენებმა ადამიანები საკუთარ ნაჭურჭში ჩაკეტა, თითქოსდა დაცარიელდაო ემოციებისგან – სულ უფრო და უფრო იშვიათი გახდა ურთიერთანაგრძობის, თანადგომის, სიბრალულის გამოხატვა, როგორც იტყვიან — „სხვისი ჭირი ღობეს ჩხირი.“ სიყვარულზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. არადა ამ ყველაფრის გარეშე ჩვენი ქვეყნისა და ერის მომავალი დიდი ეჭვის ქვეშ დგება! ღმერთმა გვაშოროს რომ ეს კეთილშობილი გრძნობები ჩვენს ერში ჩაკვდეს. ადამიანთა იმ ჯგუფმა, რომელსაც გასიგრძელებული აქვს არსებული ვითარება, არამც და არამც არ უნდა მისცეს თავს მოდუნების უფლება, რათა სხვათა გამოფხიზლებას შეუწყოს ხელი. განა გვაქვს მოდუნების უფლება იმის ფონზე, რაც ჩვენს თვალწინ ხდება და არა ერთი და ორი შემთხვევის სახით. განა საგანგაშო არ არის, თითქმის ყოველდღიურად გვესმის ტელეეკრანებიდან, რომ ქართველმა ბიჭებმა დახოცეს ერთმანეთი სხვა და სხვა იარაღის გამოყენებით, რომ ძმა-ძმას კლავს ფულისთვის ან სხვა მიზეზით, ალკოჰოლის ან ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ მყოფი, ზოგჯერ სრულიად ფხიზელ მდგომარეობაში მყოფიც; რომ ნათესავი კლავს ნათესავს; მეზობელი მეზობელს; რომ გარენრები თავს ესხმიან ყოვლად უდანაშაულო ოჯახებს; ტრანსპორტში მყოფ ადამიანებს აყაჩაღებენ და წინააღმდეგობის განევის შემთხვევაში დაუფიქრებლად ჰკლავენ კიდეც. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ზოგიერთი შვილი მშობელსაც კი ჰკლავს ასევე ფულისთვის. შეშფოთებული ვარ! რას მივანეროთ ეს ყოველივე?! სად გაქრა ქართველის რბილი და მოყვასი ბუნება?! (ერთი რამ კი მინამს, რომ ამ ყველაფერს მარტო პოლიციური მეთოდებით არ მოეხერხება, მით უფრო, როცა იგი თვითონ სცოდავს, თან არც ისე იშვიათად)!

მახინჯებაში არც ისე მცირე წვლილი მიუძღვით იმ ტელეარხებს, რომლებიც დაუსრულებელი მკვლევობებით და გაშიშვლებული სექსით ნამლავენ მათ სულს. უმდაბლესი გემოვნების კინო-სერიאלები არ მოაშორეს ეკრანებს, სადაც წინა პლანზე სიყალბე, ადამიანთა გაუგონარი სისასტიკით ხოცვა-ჟლეტაა წარმოჩენილი (ცოცხა კი იმათ კისერზე, ვინც ამ ყველაფრის მარგანიზებელია ჩვენს სინამდვილეში!). ახალი არაფერია იმაში, თუ ვიტყვი, რომ ჩვენი ქვეყნის ისტორია ფაქტობრივად ომების ისტორიაა, რომლის მანძილზეც ქართველმა ხალხმა ათასი ჯურის დამყობელთაგან აწიოკების მიუხედავად ოფლით, სისხლით და ცრემლით შეინარჩუნა ღვთისმშობლის ნილხვედრი მამული, ენა ქართული – დარი თვალმარგალიტთა და სარწმუნოება მართლმადიდებლური, რაც ლანგრით მოართვა თანამედროვეობას... ამ ყველაფერთან ერთად ჩვენმა ბრძენმა წინაპრებმა არ დათმეს და ერს არ დაუკარგვას ასევე საუკუნეების მანძილზე ნაფერებ-ნალოლი-ავები ჯანსაღი ტრადიციები – ლხინის თუ ჭირის სუფრისა, ნათელ-მირონობისა; შეინარჩუნეს და უფრო მრავალფეროვანი გახადეს, მსოფლიო მონონების დონის ქართული ხალხური სიმღერები, ჩვენი უმდიდრესი ფოლკლორი; ასევე შეინარჩუნებულია მიცვალებულთა მონინებული პატივისცემა და მათ საფლავზე ზრუნვა; ყველაფრის ჩამოთვლა შორს წავიყვანს, მაგრამ ეს ყველაფერი გასაფრთხილებელი და დასაფარავი რომაა, არა მგონია სადავო იყოს ვინმესთვის. განა სადავოა, რომ ქართველი ხალხი კდემამოსილი უნდა იყოს, ქართველი მამაკაცები კი რაინდები?! მაგრამ იმ რეალობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რაც დღეს თვალწინაა, რაც სწავს, ეჭვგარეშეა, რომ ჩვენს ასეთ ყოფაში ბევრ სხვა ფაქტორთან ერთად, თავისი დიდი წვლილი შეიტანა ზურგზე ინტეგრაცია-წამოკიდებული გლობალიზაციის პროცესის


სა და სამაჩაბლოს აგვისტოს უგუნურმა ომმა ახალგორი და კოდორის ხეობაც გადააყოლა, თითქოსდა ადრე ცოტა გვექონოდა დაკარგული და მეზობლებისგან მიტაცებული: სოჭის აფხაზეთიანად მიითვისა რუსეთმა, ტაო-კლარჯეთი – თურქეთმა, საინგილო – აზერბაიჯანმა, ლორე – სომხეთმა და დავითისა და თამარის დროინდელი საქართველოს ტერიტორია ნიკოფსიიდან დარუბანდამდე შაგრენის ტყავივით შემოგვადნა ხელთ!!! ახლა შოვნა-აო საქართველოში და არავინ იცის, რას გვიმზადებენ „კეთილმოსურნე“ მეზობლები (არადა, იგრძნობა სამაგისო მოძრაობები!!!) ბოლოდროინდელმა ომებმა გარდა ტერიტორიების დაკარგვისა, თავისი სავალალო კვალი დაამჩნია ჩვენს ყოფას. დაგვეხოცნენ მეომრები – ჩვენი საჯიშე ბიჭები, მშვიდობიანი მოსახლეობის სოლიდარული ნაწილი; საკუთარ სამშობლოში ლტოლვილებად გვექცნენ ათასობით ჩვენივე ქართველები; ვაი, რომ გაიჭრა უცნობი ჯარისკაცების საფლავები, დაინგრა და დაინგრა უთვალავი საცხოვრებელი სახლი, გადაიბუგა უსიერი ტყეები და სავარგულები. ერთი სიტყვით სადაც მტერმა ფეხი დაადგა ჩვენს მიწას, მიწასთან გაასწორა ყველაფერი!!! ამ და სხვა მრავალი მიზეზით იმძლავრა სილატაკემ, სიდუხჭირემ, რამაც სამშობლოდან მილიონნახევარი ადამიანი გააქცია საზღვარგარეთ უცხოელთა იაფფასიანი მოსამსახურის როლში, რათა იქ ნაშოვნი ფულით არჩინონ აქ დარჩენილი ოჯახის წევრები! ბუნებრივია, სწორედ, ამ მიზეზით დაიცალა მოსახლეობისგან სოფლები და რაიონები, გნებავთ, პერიფერიული ქალაქები. ამავდროულად ერთ დიდ „თავკომბალა სავაჭრო ცენტრად“ გვექცა

გულისტკივილს ასე გამოხატავს – სადაც კარგად დავპურდებით, იქაურობა ხომ არ უნდა გავიხადოთ სამშობლო! ღმერთმა დაგვიფაროს ასეთი ცდუნებისგან! ისტორიულად ჩვენი ერი მუდამ ერთად იდგა ჭირსა თუ ლხინში, ამდენად მე მიმაჩნია, რომ ამჟამად ქართველთა ერთად ყოფნა დღევანდელ გასაჭირში, თან რუდუნებით შრომით უკეთესი პირობების შექმნა, ეს იქნება კიდევ ერთი დასტური ჩვენი ერის სულიერი სიძლიერისა, მისი ისტორიული უკვდავებისა! აქვე დავძენდი, ეს ჩვენივე გასაკეთებელია და, რათქმა უნდა ამას სხვა არავინ გააკეთებს (სხვათა დახმარებით შორს ვეღარ წავალთ)! აკი უფალს წყალში დამხვრჩალისთვის უთქვამს, შენ ხელი გაანძრიე და მე მაშინ გიშველიო! არც ჩვენ გვაქვს სხვა გზა, მით უფრო, როცა ჩვენი ღვთიური მიწა-წყლისკენ ახლო მეზობლებს, თუ შორეულებს არც თუ მოყვრულად უჭირავთ თვალი! დღეს საქართველოში რა რჯულის უცხოელს არ ნახავთ. ჩინელებით და ზანგებთაც გაივსო თბილისი (ჩვენ ხომ ვამაყობთ ჩვენი ინტერნაციონალურობით)! ხედავბედის ირონიას – ქართველები ტოვებენ საქართველოს, უცხოელები კი მოინევენ საქართველოსკენ! ნუთუ ჩაკვდა ქართველში სამშობლოსადმი სიყვარული, რაზეც ნათქვამია, იგი ყველაზე გარენარ ადამიანშიც კი ყვე-

მა ეროვნულმა გამოცდებმა უჩვენა, რომლის შედეგადაც კონკურსში 5 000 აბონენტი ჩაიჭრა და მეორადი ჩარიცხვის შედეგად მაინც 4 000 ვაკანტური ადგილი დარჩა! ეს არცაა გასაკვირი იმის ფონზე, რომ მოსწავლე-ახალგაზრდობის უმეტესმა ნაწილმა წიგნი შეიჯავრა თუ შეაჯავრეს... მათი ინტერესი ძირითადად გადატანილია კომპიუტერზე, ტელევიზორებზე, საიდანაც მეტწილად ყოვლად მიუღებელი სანახაობებით საზრდობენ: ყოვლად უაზრო და იდეურად არაფრისმომცემი შოუები, სასტიკი მკვლევობებითა და შიშველი სექსით გაჯერებული ტელესერიალები და სხვა მრავალი უზნეობები. ამ ფონზე არ ვიცი ვის მოუვიდა აზრად სკოლაში სექსოლოგიის სწავლების იდეა, მისი აუცილებლობა, რაზეც დიდი აურზაური იყო ატეხილი. (არადა უმაგისოდაც, ევა და ადამიდან მოყოლებული, მშვენივრად აგნებდა ერთმანეთს ქალი და კაცი, იგი არც არასდროს არ ყოფილი გზამკვლევის როლში. რაც ადამიანს თავი ახსოვს მრავალრიცხოვანი და ჯანსაღი თაობები ცვლიდნენ ერთმანეთს, უფლის ნებით, რამეთუ ქალის და კაცის ურთიერთსწრაფვას თვით უფალმა დაუდო საფუძველი. აქვე შეგახსენებთ ცნობილ ლეგენდას: უშორეს წარსულში ადამიანი თავის თავში ორი-



REUTERS



ჰუმანური აღზრდის მსოფლიო სისტემა

მის ცნობიერებაში დამკვიდრდა აზრი, რომ ღვთიურს იმდენად გამოავლენს თავის თავში რამდენადაც იგი ემორჩილება ამ იდეალურ ძალას. ქრისტიანობის წარმოშობასთან ერთად ნატელი გახდა, რომ ღმერთი არის პირველი მიზეზი და ყოველი საგნის არსი (არსება), რომ „ყველაფერი არის ღმერთთან და ღმერთი არის ყველაფერი,“ სამყარო წარმოადგენს ღმერთის მიერ წარმოებულს, მოძრავს, ცვალებადს და მართვადს, ხოლო ადამიანი „მუდმივდაუსასრულო კვირტს ცხოვრების ხისას“, რომელიც უნდა გაიშალოს ღვთაებრივ ყოფიერებაში; ამ ღვთაებრივი ქმნილების გონიერი და კანონზომიერი განვითარება ისტორიულად მიმდინარეობს და გვიჩვენებს, რომ ღმერთი, როგორც საწყისი გამოვლინება, ყველაგან და ყველაფერშია. იგი არის ბუნების, ხალხისა

და პიროვნებების არსებობის საფუძველი და არსი, რომელთა ურთიერთობის პროცესში ხორციელდება, განითარება-მეორეს მხრივ სამყაროს ზოგადი პლანის განხორციელება-ურთიერთადამოკიდებულებითა და შეთანხმებით ხდება, მაგრამ ბუნება დამოკიდებულია ხალხისადა პიროვნებებისგან, როგორც ვ. ჰუმბოლტი აღნიშნავს: „თვით მსოფლიო ისტორიის გაგება შეუძლებელი იქნებოდა სამყაროს მართვის გარეშე, იმ პირველ მიზეზის გარეშე, ვისაც ეს წესრიგი ეკუთვნის“.

ქრისტიანობა, რომელმაც ახალი ეპოქა შექმნა კაცობრიობის ისტორიაში, არის რელიგია ადამიანის მსგავსი ღმერთისა და ღმერთის მსგავსი ადამიანისა, ე სარის მრწამსი, რომლის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი (კაცობრიობა) შეარჩოს ღმერთთან, სასრული-უსასრულო სულთან. გადანწყვიტოს ის, რაც ვერ შეძლო ანტიკურმა სამყარომ, რადგან მისი პრინციპი იყო ღვთიურისა და ადამიანის ერთიანობა. ღმერთის გამოვლინით ადამიანში თვითშემეცნების ნამდვილი არსის გაგება. ამის

შემდეგ კი შესაძლებელი გახდა ჰუმანური აღზრდის პრინციპების განსაზღვრა.

ქრისტიანობამდე ადამიანი სახელმწიფოს მიზნად, რალაციის საშუალებად ითვლებოდა. მისი როლი განისაზღვრებოდა იმის მიხედვით, რამდენს აძლევდა იგი სახელმწიფოს. ადამიანში ღვთიურის გავლენით მან შეიძინა უსასრულო მალალი დანიშნულება.

ვინაიდან ღმერთია მასში და როგორც ღვთისაგან შექმნილი სხვა ამოცანის წინაშე დგას, ვიდრე ისინი, ვინც აღიარებდნენ ღმერთებს. ამისათვის ადამიანმა უნდა ირწმუნოს და შეიგნოს თავისი ღვთიური საწყისი და სრულიად განსხვავებული ამოცანები და ისახოს, ისწრაფოს ღმერთისაკენ. ღმერთთან შეერთება მისი ნების გამოხატულებაა. ადამიანის ამგვარი დანიშნულება წარმოადგენს ქრისტიანული მოძღვრების ძირითად ხაზს, რითაც იგი განსაზღვრავს თითოეულის დანიშნულებასაც: „იყავით ისეთი სრულყოფილი, როგორც თქვენი ზეციური მამა.“ ქრისტემ თავისი ცხოვრებით გვიჩვენა, რომ იგი ერთიანია ღმერთთან და შეუერთდა მას.

ქრისტიანობამ გვიჩვენა რაოდენ დიდია პიროვნების ღმერთთან ერთიანობის არსი და რა მნიშვნელობა აქვს მას აღზრდაში, ზნეობრიობაში და ყველა ადამიანის ერთობაში, ამ მომენტიდან ადამიანმა შეიძინა გარკვეული ღირსება, ნების თავისუფლება, სულის უკვდავება“ რამეთუ იგი ღმერთისგან არს გაჩენილი (შექმნილი). ღვთისგან აქვს ადამიანს ნაბოძები იმის შესაძლებლობა, რომ ერთის მხრივ განავითაროს თავისი ინდივიდუალური თავისებურებანი, ხოლო მეორეს მხრივ – საყოველთაო ჭეშმარიტებითა და სიყვარულით, ერთგულებითა და რწმენით დაუკავშირდნენ ერთმანეთსა და უმაღლესს.

ქრისტეს მოვლენის შემდეგ ადამიანი ეზიარება ღმერთს არა როგორც ცალკეული პიროვნება, არა როგორც ცალკე ხალხი, არამედ როგორც მორწმუნე იმლება ყოველგვარი ზღვარი მოქალაქესა და მონას შორის, ეროვნებებს შორის რადგან იგი კაცობრიობის საკუთრებაა. აქედან მოყოლებული ადამიანის აღზრდამ და მისმა სულიერმა სრულყოფამ

ქრისტეს მოვლენის შემდეგ კაცობრიობა შევიდა თავის მონიფულუობის ასაკში. შეიცვალა სინამდვილის გაგება და ადამიანის დანიშნულების არსი. ადამიანი წარმოდგენილ იქნა კოსმოსის მიკროანტიპოდად, რამაც შეცვალა მისი დანიშნულება ღმერთთან მიახლოების იდეით. ამ თვალსაზრისით ქრისტედან იწყება ადამიანის თავისუფალი აზროვნების ეპოქა, მისი მოქმედებების თავისუფლება, როცა



არვის ანებებს მის ხელყოფას. მაგრამ მომავლისკენ ხომ უნდა გავიხედოთ? მომავალ თაობაში სამშობლოსადმი სიყვარული ვერ აღიზრდება ზერელე მიდგომით. ჩვენს მოსწავლე ახალგაზრდობას სიღრმისეულად უნდა ვასწავლოთ ჩვენი ქვეყნის ისტორია, ჩვენი ფოლკლორი, მწერლობა ჩვენი პროზითა და პოეზიით; ასევე ვკვებოთ მათი სული ეროვ-

და ქართველებს არასდროს არ ეშლებოდათ ლხინში სიმღერა და ჭირში – ცრემლი... შეუნდოთ ღმერთმა, მაგრამ საკითხავია, რამდენად შეუნდობენ მათ ამ უაზრო ომში სამშობლოსთვის დახოცილი ჩვენი ჯარისკაცების სულები, რომელთა ცხედრებს ცხინვალის მინაზე უპატრონოდ მიმოფანტულთ, თავკარა მზე სულისშემუსხუთველად აცხუნებდა გაოცებული... ვახსენე ღმერთი და როგორ შეიძლება გვერდი ავუარო ჩვენი მართლმადიდებლური ეკლესიის განუზომელ როლს, როგორც ყველაზე საიმედო დასაყრდენს ზემოთჩამოთვლილი მრავალი პრობლემები-

კვეულ ნაწილს. კონკრეტულ ეპიზოდთან დაკავშირებით ამ ვრცელი საუბრით არაერთგზის ვუთხარი ჩემს მკითხველს, რომ ამ წერილის დაწერისას კენ მიზიძგა პროფ. ჯონსონის სამაგალითო კაცთმოყვარეობამ, თავისი თანამედროვე ადამიანების მიმართ მისმა განუზომელმა სიყვარულმა, რაც მალაღი ზნეობის მაგალითია. ჩვენ ვუხმოთ ანალოგიურ ურთიერთსიყვარულს და გადავრჩებით უთუოდ. ორი აზრი არ არსებობს, იმაში რომ ქართველობა სიყვარულმა უნდა შეკრას და გაამთლიანოს ერთი საერთო მიზნისკენ, რასაც სამშობლოს ხსნა ჰქვია და რაც ჩვენი გამარჯვების უტყუარი საწინდარია. უფალი იყოს ჩვენი შემწე ბრძოლის ამ გზაზე! არადა საბრძოლველი და მოსაგვარებელი წინ უამრვი ელოდება ჩვენს ქვეყანას, რაც მხოლოდ და მხოლოდ სამშობლოსათვის გულანთებულ ქართველთა გასაკეთებელია; ამაში კი უდიდესი როლი ჩვენმა ახალგაზრდობამ უნდა შეასრულოს, ახალგაზრდობამ, რომელსაც გათავისებული ექნება ჭეშმარიტი სიყვარულის გრძნობა ღმერთის, სამშობლოსა და თავისი ერის მიმართ; მან უნდა იაროს ილიამ მართლის გზით – (მამული, ენა, სარწმუნოება) ათივე მცნება-გათავისებულმა. მაშინ ჩვენ ვერავინ დაგვამარცხებს.

ვე სქესს აერთიანებდა თურმე – ჰერმეფროდიტი! იგი ძალზე ღონიერი ყოფილა, რამეთუ მას სხეულის ყველა ნაწილი ორმაგი ჰქონია. ასეთი არაბუნებრივი სიძლიერის მქონე ადამიანებს თვით ოლიმპოში – ღმერთების საუფლოში გადაუნყვეტია აჭრა. ღმერთი ამაზე ძალიან განრისხებულა და ჰერმეფროდიტი (ჰერმესი-მამაკაცი, აფროდიტა – ქალი) განუკვეთია ერთმანეთისგან. იმ დღიდან დღემდე ეს ორი განსხვავებული სქესი ბუნებრივად ელტვის ერთმანეთს დაკარგული მეორე ნახევრის შესავსებად, რათა ერთ მთლიან არსებად იგრძნონ თავი, რასაც უფლის ნებით სიყვარული უნდა ედოს საფუძვლად. სიყვარულია, სწორედ ოჯახების სიმყარის საფუძველი, მყარი

ერთი ეპიზოდის შესახებ დღევანდელი გადასახედიდან

მარგო ფონიავა

ოჯახი კი თავის მხრივ – საფუძველი სახელმწიფოს ძლიერებისა, რაც ჩვენი ერისთვის არასდროს ყოფილა უცხო, რამეთუ ქართველი ოდითგან დიდი ტარდიციების მქონე ერი იყო, გამრავლებადი და განახლებადი.

დღეს, როდესაც გლობალიზაციის პროცესი ემუქრება ყოველივე ეროვნულს, მათ შორის ჩვენს ტრადიციებს (რაც საშიშია მეტად) ერთი რამ ცხადია, რომ ჭეშმარიტი ქართველი როგორც წარსულში, არც დღეს ეგუება თავისი ისტორიის დავიწყებას და

ნული კულტურის მიღწევებით, რაც ოდითგან გვეამაყებოდა.

ზემოთ ტრადიციები ვახსენე და მინდა ჩემი გულისტკივილი გამოვთქვა ტრადიციებისადმი ზოგჯერ ჩვენივე უსულგულო დამოკიდებულების გამო. ფაქტი უახლესი ისტორიიდან – აგვისტოს ავბედითი ომის შემდეგ ჩვენი თანამემამულეების გარკვეულმა ნაწილმა (არც ისე მცირემ) იტამფანდურა ჩვენდა სამარცხვინოდ და, როგორც იტყვიან, საქვეყნოდ თავის მოსაჭრელად! არა-

დან თავის დასაღწევად. ყური მივუგდოთ სათაყვანებელი პატრიარქის, უწმინდესის და უნეტარესის ილია მეორის შეგონებას, რომელიც ქადაგებს ღმერთის, სამშობლოსა და ადამიანთა შორის სიყვარულს. სწორედ ამის გათავისება გადაარჩენს ჩვენს სამშობლოს და ჩვენს ერს. სიყვარული – წყარო უშრეტეი, რადგან იგია თვით ღმერთი. სიტყვა გამიგრძელდა... ვგრძნობ, რომ სათაურის ჩარჩოებს გავცდი, მაგრამ ვერ ავუარე გვერდი დახვავებული პრობლემების გარ-

დაბოლოს, ჩემ საუბარს ასეთი ვედრებით დავასრულებდი: ღმერთო მაღალო, შენ დაგვეხმარე, რომ ვისწავლოთ სიყვარული!!

ჰეგანური აღზრდის მსოფლიო სისტემა

5

ფართო მნიშვნელობა შეიძინა, ადამიანის ცხოვრება ქრისტიანული გაგებით, რითაც მნიშვნელოვნად განსხვავდება, როგორც ადრეული, ისე თანამედროვე სისტემებიდან.

ქრისტიანობამდე არსებული აღზრდის სისტემები თითქმის ერთმანერი თავისებურებით ხასიათდებოდნენ: 1) დამახასიათებელი თვისება იყო მისი ნაციონალურობა, ქრისტიანობის თვალსაზრისით აღზრდა ზოგადსაკაცობრიო გახდა. 2) ყველას ახასიათებდა კლასობრივი ხასიათი „ქრისტიანული პედაგოგიკის მიზანი გაიგივებულია ქრისტეს მოღვაწეობასთან და ერთნაირია ყველასათვის. (ეროვნების, კლასის, სქესის მიუხედავად). ქრისტიანობა თავისთავად არის ცხოვრების ერთიანობის პრინციპი და ადამიანის სულიერების სანყისი. 3) არსებული აღზრდის სისტემები სახელმწიფოს მიზნის მიხედვით მოქმედებდნენ, ქრისტიანული პედაგოგიკა მიზნად ისახავს ადამიანის ჭეშმარიტი არსის გახსნას, ე.ი. ღვთიურის განვითარებას კერძოდ, ადამიანის ზნეობრივ და თავისუფალ აღზრდას შემოქმედის მსგავსად.

აღზრდის ახალი ქრისტიანული სისტემის მიზანია სულიერისა და შინაგანის გამოვლენა, „ჭეშმარიტებისა და არსის“ მიღწევა, ბუნებრივისა და გარეგნულის“ ჰარმონია. თავდაპირველად ადამიანმა უნდა შეძლოს თავის ბუნებრიობისა და რაობის შეგნება და შემდეგ ღვთაებრივის შემეცნება.

ჩვეულებრივი ადამიანი აცნობიერებს თავის ადამიანობას, რის შემდეგაც იმდინდება და მოსდევს, ამიტომაც იყო, რომ ქრისტიანობა თავდაპირველად წინ აღუდგა სინამდვილეს, რადგანაც ჭეშმარიტება დაუძლეველი იყო ადამიანისათვის. ადრეულ საფეხურზე ქრისტიანობის მიმდევრები უარყოფდნენ ამქვეყნიურ ცხოვრებას, განუდგნენ იმას და მიეცნენ ასკეტიზმს. თუმცა ზეციური და ღვთიური, ზეგონიერი დედამიწაზე ეკლესიის სახით მაინც მოგვეცა. მნიშვნელოვანი უნარით დაჯილდოვებული ცალკეული პირები, რომლებსაც ეკლესიისგან ეძლეოდათ ეს მადლი, სათავეში ჩაუდგნენ ადამიანთა აღზრდას. ეკლესიამ შეძლო შეეერთებინა სულიერისა და ფიზიკურის მთლიანობა და განესაზღვრა, როგორც მეცნიერება, ისე აღზრდა. ზოგადი გონი, გაიგივებული ღვთიურ სიტყვასთან და არსებასთან (რაც კერპთაყვანისმცემლებში ხალხის თვისობრივ დაყოფას იწვევდა) ქრისტიანობაში საფუძვლად დაედო ხალხთა

გაერთიანებას და განხორციელდა ქრისტეში. ქრისტე თავის არსებით წარმოგვიდგა არა როგორც სიმბოლო ან ხატი, არამედ როგორც ღმერთკაცი. ღმერთკაცების იდეამ, რომელიც ასე დამახასიათებელია ქრისტიანობისათვის, ნათლად გამოავლინა თავისი ადამიანური როლი და დაამტკიცა, რომ ყოველი ადამიანი ღვთის შვილია და მის მოწაფედ ითვლება. ყველა ვინც მასთან კავშირშია, თავისი ნებით აღიარებს მას, როგორც ღვთაებას უერთდება მას, ქრისტეს პიროვნებას და ცხოვრებას მივყავართ ღმერთისაკენ, რადგან ღმერთის სიყვარული, ჭეშმარიტებისაკენ მომავალი ერთადერთი გზაა. უნდა დათმო მიწიერი, რომ ეზიარო ზეციურს.

თავისი ცხოვრების ნირით, საქმიანობით, მოღვაწეობით, ხალხთან ურთიერთობით ქრისტე კაცობრიობის აღმზრდელად და მასწავლებლად, თავისი მოქმედებით გვიჩვენა ადამიანის დანიშნულება, ჭეშმარიტება და სიყვარული. „გიყვარდეს უფალი შენი ყოვლითა გულითა შენითა, ყოვლითა შენითა და მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი თავისი მისწრაფებებითა და თავგანწირვით, სწავლებით, მოთხოვნებით საფუძველი ჩაუყარა ადამიანისადმი ჰუმანურ მიდგომას და სწავლა-აღზრდის ახალ სისტემას.

ქრისტე არა მარტო მასწავლებელია, არამედ აღზრდისადმი სრულყოფილი იდეალი, როგორც კაცობრიობისთვის, ისე ცალკეული პიროვნებებისთვის და განსაკუთრებით მოზარდებისთვის. მან საკუთარ პიროვნებაზე გამოსცადა განვითარების ღვთიური ნება. ის ვინც აღიარებს ღმერთის საყოველთაო ნებას, აღიარებს საკუთარ მშობლებს. იგი ჯერ კიდევ ბავშვი გაჰყვა ღმერთის გზას და იცხოვრა მისი ცნობი-

ერებით, „ღმერთი უფრო დიდია, ვიდრე ოჯახი,“ რომ იგი ეკუთვნის ღმერთს.

ქრისტეს ბავშვობის იდეალი ერთდროულად არის აღსაზრდელის და აღმზრდელის იდეალი. ამ იდეალში კარგად არის შერწყმული სიყვარული და სიბრძნე, სინამდვილე და ცოდნა, რჩევა და საქმე. ყველაზე ღრმა სიბრძნე სრულყოფილად არის მოცემული, მისი მოძღვრება ნათელია, მიმზიდველი, გასაგები და დამაჯერებელი.

აღზრდის ქრისტიანულ სისტემაში განსაკუთრებული ადგილი ბავშვს უჭირავს. ბავშვის მიმართ მშობლის სიყვარული უნდა იყოს უანგარო, მაგრამ არა უსაზღვრო და არ იდგეს მიზანზე. „რომელსა უყვარდეს ძე გინა თუ ასული, უფროს ჩემსა, არა არს ჩემდა ღირს“ (მათე. 10, 37). ამასთანავე ყველა უნდა ზრუნავდეს უპირატესად სულიერ აღზრდაზე „რაი სარგებელი ეყოს კაცსა უკუე თუ სოფელი ყოველი შიძინოს და სული თავისი იზღვიოს, ანუ რაი მისცეს კაცმან ნაცვლად სულისა თავისა“ (მათე. 16-30). მისი ყოველი სიტყვა მონოღებულია იმისათვის რომ გააღვიძოს მთვლემარე სული და ხელიშეუწყოს ზნეობრივ-რელიგიურ მოღვაწეობას.

პედაგოგიკის თვალსაზრისით მეტად საინტერესოა სწავლების ახალი სისტემა და აზრების გადმოცემის ფორმა. მაგალითად, იგი ხალხს ესაუბრებოდა, ხოლო მონაფეთა ვინრო წრეში მოკლე გამონათქვამებით ასწავლიდა აზრებს, მაგრამ არც მონაფეთებს აცნობს იგი ყველაფერს და ერთბაშად იგი მათ ეუბნება იმდენს, რამდენიც ძალუძთ შეითვისოს.

მართალია მას სურს მეტად გაენდოს მონაფეთებს, მაგრამ გრძნობს, რომ ისინი ბოლომდე ვერ ჩანვდებიან ყველაფერს, ამიტომაც იგი მიუთითებს ჭეშმარიტების საფუძვლად,

თავისი სწავლებით, საქმით მოღვაწეობით და ურთიერთობებით ქმნის პედაგოგიკის მუდმივ საფუძველს.

ქრისტიანობა შემოპრუნების წერილი იყო მსოფლიო ხალხთა აზროვნებასა და ისტორიაში. ქრისტე არის ის, რაც უნდა იყოს ადამიანი თავისი აზრებით, გრძნობებით, მოქმედებებით შეერთებული და შერწყმული ღმერთთან.

ამ თვალსაზრისითაც იგი გაიდიოდა ქრისტიანულ პედაგოგიკაში. ქრისტიანული აღზრდაში მიუთითებს იმ ზნეობრივ გზაზე, რითაც ადამიანმა უნდა დაძლიოს ამქვეყნიური წინააღმდეგობები და დაადგეს ჭეშმარიტების გზას.

ქრისტიანობის მთავრი პედაგოგიური პრინციპია განავითაროს ყოველ ადამიანში ღვთიური და აქედან გამომდინარე მინიჭოს მას ჭეშმარიტად ღვთიურიც და ადამიანურიც. ამისათვის იგი მოითხოვს ბავშვებისგან მორჩილებას, მშობლებისაგან ბავშვებზე მზრუნველობას და მკაცრ მეთვალყურეობას, ურთიერთპატივისცემას და პირადი მაგალითით სანიშნურო ქრისტიანად ყოფნას.

ქრისტიანული პედაგოგიკა, საერთოდ როგორც ყოველგვარი აღმზრდელი სისტემა, უშუალო პრაქტიკული საქმიანობით დაიწყო. პირველ ქრისტიანობაში აღზრდის ძირითადი ამოცანები მდგომარეობდა უშუალოდ ქრისტიანული წესჩვეულებებისა და ცხოვრების წესების გაცნობაში. მშობლებს შეილები პირდაპირ მიჰყავდათ ქრისტესთან, რადგან ინამოს, რომ ყოველგვარი ადამიანური სიბრძნე არაფერი იყო ღვთიურ, მარადიულ სიბრძნესთან, რომ ადამიანური სიბრძნე, რომელიც დამახასიათებელი იყო იუდეველებისა და ბერძენებისათვის, ვერ აქცევდა ადამიანს იმად „რაც უნდა იყოს.“

ქრისტიანული პედაგოგიკის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესი წინააღმდეგობრივი გზით მიმდინარეობდა. კერძოდ, 1) თავიდან მათ ნააზრევი ერთიან პედაგოგიურ სისტემაში არ ლაგდებოდა. აზრები აღზრდის შესახებ ცალკეული განცხადებების, განმარტებებისა და შეგონებებისგან შედგებოდნენ. 2) საჭირო იყო აღზრდის დაქვემდებარება ქრისტიანულ მსოფლმხედველობასთან. ეკლესიის მამები ქადაგებდნენ ქრისტიანულ მოძღვრებას და ეწეოდნენ პედაგოგიურ მოღვაწეობას დიდ სირთულეს ქმნიდა ის გარემოება, რომ ბევრი ადამიანი ანტიკური აღზრდის სისტემიდან მოვიდა. ისინი ცდილობდნენ ანტიკურისა და ქრისტიანული აღზრდის შეხამებას, თუმცა წინააღმდეგობას თვითონვე გრძნობდნენ.

ქრისტიანული პედაგოგიკის ძირითადი თავისებურება იმაშიც გამოიხატება, რომ სწავლებისა და აღზრდის პრაქტიკა და ქრისტიანული მოძღვრება პარალელურად ხდებოდა. ამას ახლა ეყრებოდა საფუძველი და ამდენად ორიგინალური იყო. თავდაპირველად სწავლა და აღზრდა ეკლესიის გარეთ მიმდინარეობდა, მაგრამ ხელს უწყობდ მასობრივი აღმზრდელი მეთოდით გამოცდილების ჩამოყალიბებას.

ქრისტიანობის ჩამოყალიბებასთან ერთად აუცილებელი ხდებოდა აღმზრდელი სისტემა და სკოლების განვითარება. განვითარება იწყოს სახალხო ქრისტიანულმა სკოლებმა, შემდეგ კატეხისტურმა, შემდეგ სასულიერო სემინარიებმა და აკადემიებმა.

ქრისტიანობის გავრცელებამ და მოსახლეობის დიდი გადასახლების ეპოქაში თითქმის დაიხურა გრამატიკული და რიტორიკული სკოლები. ისე თი სკოლებიც კი, რომლებიც იმპერატორების მიერ იყო დაარსებული. საჭირო შეიქმნა ისეთი სკოლების დაარსება, რომლებსაც ერთიანი თეოლოგიური საფუძველი ექნებოდათ და სწავლა-განათლებაც ადრეული საფეხურებიდან დაიწყებოდა.



მზის უპილესი

რეპაზ პრისტავი

კიდევ სხვა.
თუ ბასკურ ენაში არსებული სიტყვა „ეგუს“ მზეს ნიშნავს, მაშინ უნდა ვიფიქროთ, ასევე ყველა სიტყვები, როგორცაა: ეგვიპტე, ეგოსი, ეგიდა, ეგრი-

2 ←
ქალი, რათა მათი საშუალებით ეზიარებინა ცივილიზაციისათვის ველური აბორიგენები.

ცნობილი ფაქტია, რომ მსოფლიოს ხალხების ეპოსებში, თქმულებებში თუ მითებში, მოხსენებული ამბავი თეთრი ადამიანის, ანუ ბელადის მათთან მოსვლის შესახებ, რომელმაც შემდეგ მათ განათლება და მშვიდობა მოუტანა. მსგავსი რამ არა აქვს ქართველ ხალხს. მათში გავრცელებულია მხოლოდ ის თქმულებები, სადაც კავკასიონიდან თეთრი ადამიანების წასვლაა ნახსენები. აქვე უნდა შევიშნოთ, რომ სიტყვა ადამიანი, მხოლოდ ქართულ ენაში ფიგურირებს და იგი წარმოშობილია სიტყვა ადამიანისგან. სხვა არც ერთი ხალხის ენაში მსგავსი მოვლენას ადგილი არა აქვს.



საა. „რა“, უძველეს წარმართულ დროში, მზის ღმერთის სახელწოდებაა, რომელიც გავრცელებული იყო საქართველოსა და ეგვიპტეში. გავიხსენოთ ქართული წარმართული სიმღერები „რაეო“, „რამოვდა“, „რამაია“, „ორერა.“ მზე კი მზე არის. ფარაონ რამზესის სახელი მზის ღმერთს უკავშირდება ასევე (მეგრულად) შეიძლება აიხსნას ფარაონ თუთენჰამონის სახელიც. თუთა მეგრულად მთვარეს ნიშნავს, ამონი კი მზის ღმერთია, რომელიც ხშირად ცვლიდა სახელწოდება „რას.“ გამოდის რომ ფარაონსაც მთვარისა და მზის ღმერთის სახელი ერქვა. ფარაონ თუთმოსის სახელშიც „თუთა“ — მთვარე ფიგურირებს.

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ ეგვიპტეში ქართველი ტყვე ბიჭუნები ძალზედ ძვირად ფასობდნენ. მათ შეასწავლინათ იცოდნენ, რომ მათი უძველესი ფარაონები, ქართული შტოს წარმომადგენლები იყვნენ, რომელთა გენეტიკური წარმომავლობა და სიძლიერე საქვეყნოდ იყო აღიარებული. ისინი ქართველ ტყვე ბიჭუნებს მამულუქებად ზრდიდნენ და ბრძოლის ველზე შეუდრეკალ და უმამაცეს მებრძოლებად გვევლინებოდნენ.

თუ ეს მცდარი აზრია, მაშინ უნდა ვიკითხოთ, რატომ არ ყიდულობდნენ ეგვიპტელი სოფეგარები ბერძენ, თურქ, ისრაელის და სხვა ქვეყნის ბავშვებს? ეს სახელმწიფოები ხო უფრო ახლო იყვნენ ეგვიპტესთან და ასეთი ტყვეები გაცილებით იაფად ფასობდნენ ბაზრობებზე.

ნუ გავიგებთ იმასაც ისე, რომ ეგვიპტის პირამიდები, სფინქსი, აბუ სიმბელის ტაძარი და ბევრი სხვა ეგვიპტის ტერიტორიაზე მცხოვრები არაბი და ზანგი ხალხის წინაპრების „ნიჭის ნაყოფია.“ ეს შედეგები აქ მოსულმა იბერთა ელიტარულმა ხალხმა, შექმნა

თავიანთი პროექტებით. მშენებლობას კი აწარმოებდნენ, ადგილობრივი მილიონობით არაბი და ზანგი მონები.

აღმოჩნდა, რომ საბერძნეთისა და ეგეოსის ზღვის უძველესი მაცხოვრებლები იყვნენ, ხალხები ან ხალხი. რომლებიც ლაპარაკობდნენ, იმ ენაზე რომლებსაც არავითარი კავშირი არ ჰქონდათ ინდო-ევროპულ ენებთან. ეს ენა იყო სრულიად უცხო და დახვეწილი. მეცნიერები ამ ენას ეგეოსურ ენას უწოდებდნენ. ამის შემდეგ ამ ხალხს შემოუერთდნენ, მონათესავე ტომები, ხეთები და მათთან ბევრი სხვები. მათ კვალზე და მათთან ერთად საბერძნეთის ტერიტორიაზე მოვიდნენ, ასევე, იბერთა უძველესი წარმომადგენლები — პელაზგები, რომელთა ენა იდენტური იყო გავრცელებული იბერიული ენისა.

ცნობილი ფაქტია, რომ ბასკები თავიანთ ქვეყანას „ეგუს სკალდუნს“ უწოდებდნენ. „ეგუს“ ბასკურად მზეს ნიშნავს, ხოლო „სკალდუნს“ — მზის ამომავალი ქვეყნიდან წარგზავნილს. მართლაც კავკასია ბასკების ქვეყნიდან (ესპანეთიდან) აღმოსავლეთით მდებარეობს, ე.ი. იმ მხარეს საიდანაც მზე ამოდის. შეიძლება ჩვენს მიერ აქ წამოყვებული მოსაზრება ზოგიერთ სპეციალისტს, პარადოქსულად მოეჩვენოს, მაგრამ, როგორც ჩანს, ქართულ მეტყველებაში თანხმობა წყვილთა დაჯგუფებებს, ან კიდევ მარცვლებს, განსაკუთრებული როლი ენიჭება. აღნიშნულის დადასტურებაა თანხმობა ასოთა წყვილი „ბრ“, რომელიც თავსართია ისეთი ქართული სიტყვებისა რომლებიც დაკავშირებულია, სინათლის სხივის ნათებასთან, მაგალითად: ბრწყინვალეობა, ბროლი, ბრძმედი, ბრიალი, ბრინჯაო, ბრმა, ბრონეული, ბრილიანტი, ბრძენი და ალბათ ბევრი

სი, ყველანი მზესთან არიან დაკავშირებულნი და ერთი ენობრივი ოჯახიდან აქვთ ამოსავალი.

ასეთივე აზრი შეიძლება გამოითქვას სიტყვებზე: სპანი, დესპანი, სპასპეტი, ესპანეთი, რომელთაც ახასიათებს მარცვალი „სპა“, რომელიც ქართულად აღნიშნავს წარგზავნილს, ელჩს.

საერთოდ, როგორც ისტორიული წყაროებიდან ჩანს, ესპანეთს V საუკუნემდე ჩვენი წელთაღრიცხვით, იბერია ერქვა, შემდეგ წარმოიშვა სახელწოდება ესპანეთი (შპანი). ანალოგიური სახელით იხსენიებენ ძველ ქართველებსაც (კავკასიის იბერია).

საერთოდ, სახელწოდება ესპანეთი და ბასკების ქვეყნის სახელწოდება „ეგუს სკალდუნს“ ერთ და იგივე აზრს გამოხატავს — წარგზავნილს, ელჩს.

ანალოგიურ მოვლენასთან გვაქვს კავშირი მარცვალი „ოდ“-ის შემთხვევაშიც. მარცვალი „ოდ“ — ძველ კოლხეთში, ოდა, ოდიშარია, ოდიშეილი, და სხვა ყველა ამ ღვთაებასთან არის დაკავშირებული.

ასევე ანალოგიასთან გვაქვს საქმე სიტყვა „ოდისევსის“ შემთხვევაშიც. აირ ას გვაუწყებს ჰომეროსი თავის ცნობილ პოემაში — „ოდისევსში.“ როდესაც ოდისევსი თავის მომავალ მეუღლეს, პენელოპას გაეცნო, სახელგანთქმული კრეტის მეფის, მინოსის შვილიშვილად წარუდგინა თავი.

საერთოდ, მინესოლები, რომლებიც კუნძულ კრეტაზე ცხოვრობდნენ, ეკუთვნიან ინდოევროპული ხალხის უძველეს მოდემას, რომლებიც თავიანთი წარმოშობით პროტოკავკასიური, პროტოქართული, ანუ აკადემიკოს ნიკო მარის ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, იაფეტურ მოდემას ეკუთვნიან.

კუნძულ კრეტაზე, უძველეს დროს, მოვიდა კავკასიიდან ძლიერი მინოსების გამო მიგრირებული ხალხი, იბერთა ტომები, კერძოდ, პელაზგები, ეტოკრიტელები. მათი დასახლებები გაფანტული იყო ამ მოგრო, მთიანი კუნძულის კლდოვან სანაპიროზე. ეს ხალხი არ გავდა ბერძნებს და საერთოდ ხმელთაშუა ზღვის არეალში მცხოვრებ ტომებს, არც გარეგნობითა და არც ბარბაროსული დიალექტებით. ესენი იყვნენ საზრიანი ხალხი, რომლებმაც შემდეგ შექმნეს კრეტის ცნობილი კულტურა და საფუძველი ჩაუყარეს დიდებულ ქალაქ — კნოს-ოსს.

კუნძულ კრეტაზე მცხოვრები იაფეტური ტომები ამაცობდნენ იმით, რომ თავად ღმერთთა ღმერთი ზევსი ამ კუნძულზე იყო დაბადებული. ზევსი (ზევსი ეს სიტყვა ქართული წარმოშობისაა და აღნიშნავს ზემოთ, ზეცაში მყოფ ღვთაებას. ამ სიტყვას სხვა ენებში არავითარი აზრი არა აქვს. იგი უბრალოდ ისმის, როგორც „ზევსი“ და სხვა არაფერი. ქართულენოვან მეტყველებაში ეს სიტყვა უძველესი დროიდან არის შემორჩენილი. არა მარტო მსოფლიოს ცნობილ ლინგვისტებს, არამედ, ქართველ ენათმეცნიერებსაც არ მიუქცევიათ, ამ სიტყვისთვის ჯეროვანი ყურადღება.

ოდისევსი პელაზგი ხალხის შვილია (პე-ლაზ-გი). ამ სიტყვიდან ნათლად ჩანს, რომ პელაზგები, ლაზ ხალხთან (კოლხებთან) არიან დაკავშირებულნი: თვით ოდისევსი კი ლაზი, კოლხია. ოდი — მინის ღმერთი (კოლხურად) და სევსი (იგივე ზევსი) ქართულად. მინოსელებს ხომ ღმერთი ზევსი თავიანთ კუნძულზე დაბადებულად მიაჩნდო.

საერთოდ საბერძნეთი, როგორც უძველესი კულტურისა და ცივილიზაციის ქვეყანა, უდიდეს ყურადღებას იმსახურებს თანამედროვეობაში.

მეცნიერები, ძველ საბერძნეთსა და თანამედროვე საბერძნეთს, ისტორიულად ერთი და იგივე ხალხით დასახლებულ ქვეყანად მიიჩნევენ. ასევე ამ ორი თაობის ხალხის ცივილიზაცია და კულტურაც გაიგივებული აქვთ. არავის უცდია ამ მეტად საინტერესო პრობლემაში რამე სიახლე შეეტანა.

როდესაც ჩვენ საბერძნეთის ისტორიაზე ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვაინყდეს ის მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც ამ ხალხის ისტორიაში გამოსჭვივს. არ უნდა ვიფიქროთ, რომ ძველ საბერძნეთსა და თანამედროვე საბერძნეთის ტომები ეთნიკურად ერთი და იგივე მოდემის ხალხია და რომ ამ ორი მოდემის კულტურა თითქოსდა ერთი და იგივე ხალხმა შექმნა.

სახელმწიფო საბერძნეთის პრობლემები მეტად რთულია და განხილვის დროს დაკვირვებას და სწორ გადწყვეტას მოითხოვს.

სწავლა მისთვის ყველაფერია

სპეციალობით, საკმაოდ წარმატებულია. კობა ფიფიას საინტერესო და შინაარსიან ცხოვრებას ღვთის სიყვარულიც ალამაზებს. დღეს, როცა მომავლის რწმენის შენარჩუნება გვიჭირს ადამიანებს, კობა

თულ ტაძარში, კობა საძმოს წევრებთან ერთად, სტიქაროსნად მსახურობს.

დიუსელდორფი ქართველთათვის „მშობლიური“ ქალაქიცაა: აქ ხომ სამი ათეული წლის წინ, ოდესღაც ლეგენდარულმა თბილისის „დინამომ“, „რაინშტადიონზე“ „ევროპის პატარძალი“ — თასების თასი „მოიტაცა“..

უკვე ოთხი წელია კობას სამშობლო არ უნახავს, ძალიან ენატრება მშობლიური ობუჯიც, შორიდან ეფერება და მალე მასთან შეხვედრას ნატრობს. მან კარგად იცის, რომ ობუჯში მთავარანგელოზების სახელობის ტაძარი შენდება, რომ ობუჯელთა ოცნებას ფრთები რეალურად შეასხა უფლისგან დალოცვილმა პიროვნებამ-ბადრი გულორდავამ! ისიც იცის, ტაძრის მშენებლობის მწარმოებელი გია კაკაჩიაა, რომ მას გვერდით უდგას მამამისი, მთავარი ინჟინერი — იგორ ფიფია და კიდევ მუშათა ჯგუფი (პოლიკო კაკაჩია, რამა მესხია, ჯანგულ კონჯარია, ელგუჯა მესხია და სხვ.)

კობა ფიფიას წარმატებები ჭეშმარიტად უხარით მისი ოჯახის წევრებს, ნათესავებს, მეგობრებს, თანასოფლელებს. ჩვენ გვჯერა, რომ მშობლიურ ობუჯს მისი სახით კიდევ ერთი სახელოვანი შვილი ეზრდება!

გაზეთ „ნოჯიხურის“ რედაქცია კობა იგორის-ძე ფიფიას გულწრფელად ულოცავს წარმატებებს და უსურვებს ჯანის სიმრთელეს, ცხოვრებისეულ ბედნიერებას, და ახალ-ახალ წარმატებებს ოჯახისა და სამშობლოს საკეთილდღეოდ!

ვალერი კაკაჩია



კობა ფიფია

ტოლ-მეგობრებში ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა სხარტი აზროვნებითა და ნიჭიერებით, უშუალო, მეგობრული ხასიათით, უფროსებისადმი პატივისცემით და რაც მთავარია-სწავლისადმი დაუოკებელი სწრაფვით...

კობა იგორის ძე ფიფია დაიბადა 1984 წელს წალენჯიხის რაიონის სოფელ ობუჯში. მის შესახებ პატარა ინფორმაცია იყო გამოქვეყნებული გაზეთ „ნოჯიხურის“ 2007 წლის მერვე ნომერში.

1990 წელს კობა ფიფია შეიყვანეს ლეო ქიაჩელის სახელობის ობუჯის საშუალო სკოლაში. მას დღესაც ახსოვს მშობლიურ სკოლაში გატარებული ლამაზი წლები, პედაგოგები ნიჭიერ მობარდს უნერგავდნენ ყველა საუკეთესო ადამიანურ თვისებებს, შრომისადმი სიყვარულს, სამშობლოს ერთგულებას, წინაპართა მადლასა და სიბრძნეს... სკოლის პერიოდი მისთვის დატვირთული იყო სასკოლო ღონისძიებებით, მოსწავლეთა შემოქმედებითი აღმავლობით.

2001 წელს კობა ფიფიამ საშუალო სკოლა ფრიადი წარმატებით დაამთავრა და იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის მშენებლობის მენეჯმენტის სპეციალობაზე. 2005 წელს

აღნიშნული ფაკულტეტი წითელ დიპლომზე დაამთავრა (ბაკალავრიატი), შემდეგ მაგისტრატურა და იოჰან ვოლფგანგ გოეთეს სახელობის ორწლიანი ფაკულტეტი...

მრავალი ლამაზი მოგონების გახსენება შეიძლება, მაგრამ არ შეგვიძლია იმ ტკივილიან სიმსაც არ შევებოთ, ახალგაზრდის აღმადრენის პერიოდს რომ დაემთხვა, სამწუხაროდ.

მოდითა 2007 წელი... ნიჭიერი ახალგაზრდა ემზადებოდა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გასამგზავრებლად — მას, სწავლისა და ცოდნის გასაღრმავებლად, ახალი ჰორიზონტები უხმობდა...

მაგრამ ახლოვდებოდა შავი 16 თებერვალი: ზენაარმა ხელიდან გამოაცალა უსაყვარლესი დედა-მარინა და უდიდესმა ტკივილმა დათრგუნა ახალგაზრდის სულიერება...

იმ უმძიმეს ჟამს მას გვერდში დაუდგნენ ბავშვობის მეგობრები, ნათესავ-ახლობლები, კეთილი ნების ადამიანები. (აღსანიშნავია, კობას ოჯახისადმი განსაკუთრებული თანადგომა, გურკოჩანათ ცნობილი პიროვნების-ოდიკ ღვინჯილიასი).

2007 წელის გაზაფხულზე კობა ფიფია დროებით ემშვიდობება დედის წმინდა საფლავს, მშობლიურ ობუჯს, საყვარელ სამშობ-

ლოს და სევდანარევი ღიმილით მიფრინავს მიუნჰენში. პირველი შეხვედრა და მცირე სირთულეები, რაც მას იქ ელოდა, წარმატებით იქნა დაძლეული. გოეთეს ენის სრულყოფილად დახვეწაში მას, უპირველესად, საკუთარი ნიჭი (რაც წინაპართაგან მოსდგამს), და საოცრად თბილი და ყურადღებიანი გერმანული ოჯახი დაეხმარა კობა ფიფია პარალელურად თავისი სპეციალობით მუშაობდა. წელიწადის გასვლის შემდეგ იგი მიემგზავრება ქალაქ კიოლნიში და შედის უნივერსიტეტში (ამჟამად კიოლნის უნივერსიტეტის მე-3-ე კურსის სტუდენტია). მან იქაც მიიპყრო პროფესორ-მასწავლებელთა ყურადღება. უნარიანი ახალგაზრდა, მშენებლობის მენეჯმენტის

და მისი საძმოს წევრები ამ რწმენას ღვთის სიყვარულში ხედავენ. მათი რწმენით ერთადერთი, რასაც ჩვენი სულიერების ხსნა შეუძლია, ღვთის სიყვარულია!..

კიოლნიდან 80 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს მეორე დიდი ქალაქი-დიუსელდორფი. კვირაობით აქ თავს იყრიან გერმანიაში მცხოვრები ემიგრანტები და სტუმრად ჩასული ქართველები. კობა ფიფიას თავის საძმოსთან ერთად ყოველ კვირას დიუსელდორფში ჩადის. იქაა ჩვენი რწმენის ნავსაყუდელი და იქ ჩასული ქართველობას სულის სიმტკიცესა და იმედს უღრმავებს ქართული ტაძრის ქართველი მოძღვრის პიროვნული სინამდვილე და ლოცვა-კურთხევა!.. ამ ქარ-




მიუნხენში გერმანულ ოჯახთან



ბერლინი — ბრანდენბურგის ქაშკაშთან



კიოლნი — კომპოზიტორ ვაჟა აბაშიაშვილთან ერთად



დიუსელდორფი — ქართულ ტაძარში საძმოს წევრებთან ერთად



კიოლნი — მამილეჩაღ ეთერ კაკაჩიასთან ერთად



ნინო კვიციანი

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ნოვოზოცნიერი“ № 18, 19, 20)

ვოტა ხანს კიდევ ისაუბრეს, ბოლოს მიწყნარდნენ. გოგონებს ჩაეძინათ. ლედის გულს დარდი შემოანვა. საოცრად მონატრებოდა დედის საფლავი, იქ ყოფნა, ფუსფუსი, საკუთარი ხელით დარგული ყვავილების ალერსი.

„დედა! — ჩემი მესაიდუმლე, უსიტყვოდ გამგები, გაჭირვების ტალკვესი.“ სასაფლაოზე დამხობილი ლედი, დედას უამრავ შეკითხვას უსვამდა ძველებურად, რჩევას ეკითხებოდა და პასუხების მოლოდინში გაინაბებოდა. ის სხვათათვის იყო მდუმარე სასაფლაო, თორემ ლედი კარგად ხედავდა და მშვენივრად ესმოდა, ქვაზე გამოსახული დედის ტუჩების ცმაცუნნი, ალერსიანი მზერა პირმოსადმი მიმართული. აცნობი სტროფები გაახსენდა გრანელისეული და მწარედ გაელიმა. „მინდა მივიდე დედის საფლავთან და იქ უმანკო ცრემლი დავღვარო.“ მართალია, თურმე ერთხელ დაობლებული სულის სიმარტოვე, მარადიული ყოფილა. შეაჭრუოლა. ეს მის ძალ-ღონეს ბევრად აღემატებოდა. თვალები მოუწყლიანდა. ნუთუ ყველა

სიკვდილიდან მარადისობამდე (რომანი)

ადამიანი ჩემსავით იტანჯება და განიცდის დედის სიკვდილს? ნუთუ ეს არა ადამიანური ტკივილია? და ღია ჭრილობა არ შეხორცდება?

მეორე დღეს სანამ გოგონები ადგებოდნენ, გვერდითა ოთახიდან მოისმოდა თავდაჯერებული, წყნარი საუბარი სიძე-სიდედრისა. შვილივით შეითვისა და შეეყვარა სიძე ანიკომ. სხვა დროს ნუგუმსაცემი ანიკო შოთას ყოველთვის თავად ამხნევებდა, ანუგეშებდა იმედგაცრუებულ კაცს, სამომავლო პრესპექტივებზე ესაუბრებოდა. შოთას დაკოდილ გულსაც, საამო საღებუნად ედებოდა ღვთისნიერი ქალის თითოეული სიტყვა.

სამუშაო ფორმაში გამოწყობილი სტუმარ-მასპინძლები, დიდ სამზადისში იყვნენ. მეზობლების დახმარებით ხილი დაკრიფეს. ნახევარი დაბინავეს, ნახევარზე კალათებში ჩაანყვეს და მანქანაში ჩადეს. დარჩენილის მოვლა-პატრონობა კვლავ მეზობლებს მიანდეს. ნონა და ანა ხალისიანად საქმიანობდნენ. ბებია ანიკო კი შვილიშვილებისთვის საკუთარი ხელით დამზადებულ ჩურჩხელებს, საზამთრო წინდებს, შებოლილ სულუგუნებს, ჩირს, მურაბებს, ღორის ღორსა თუ ათასნაირ ხილს თანაბრად ანაწილებდა შვილიშვილებზე. მეზობლებს ეძნელებოდათ კეთილი ქალისა და ლამაზ გოგონასთან განმორება, მაგრამ მათ აღუთქვეს მალე დაბრუნება. განსაკუთრებით ლედის მიმართ გამოხატავდნენ

უდიდეს სინაზეს, რომელმაც უმოკლეს დროში მთელი სოფლის გულის მოგება შეძლო. სალამოსთვის წასვლის სამზადისი მომთავრებული იყო. ბებია ანიკომ კიდევ ერთხელ საგულდაგულოდ მოათვალიერა, გამოკეტა სახლი, ალაცოფის კარს ბოქლომი დაადო, შემდეგ ხუთივე ჩაჯდა მანქანაში და გზას დაადგინენ. ხუთივეს ეძნელებოდათ სოფელ „მზიანების“ დატოვება.

* * *

შოთა დევდარიანს, საბურთალოზე, ზემო ვეძისში უშველებელი სახლ-კარი წამოეჭიმა. იგი სამ სართულიანი იყო და ისეთი უცხო სანახავი, რომ ნებისმიერ ადამიანში აღტაცებას იწვევდა. ჯადოსნური სამყარო გალავნიანი კარების მიღმა იწყებოდა. მარმარილოს ქვებით მოპირკეთებულ ხეივანს ჯერ სარკეებიან აუზამდე და უზარმაზარ შადრევანამდის მიჰყავდა კაცი, შემდგომ კი ორმხრივ კიბეებამდის, რომელიც სახლს იქით-აქიდან შემორტყომოდა გველის პერანგივით. გზა ალაცოფის კარიდან, სადარბაზოს ასასვლელ კიბეებამდის ერთნაირი სიმაღლის პალმის ხეების ჩრდილქვეშ გადიოდა. ვრცელი პარკი კი ედემის ბაღს მოგაგონებდა, სადაც უამრავი უცხო ყვავილის ნაირსახეობები იყო გაშენებული. გაგაოცებდათ იქ შეხამებული ფერთა ჰარმონია. ამ ნალკოტში ყოფნა სრულ ნეტარებას ანიჭებდა მნახველთ.

სახლი კი ბაროკოს სტილის შენობა იყო, ოღონდ თეთრი

და გალანტური. თეთრი მარმარილოსგან გაკეთებული — ფართო საფეხურებით, მთელ სიგრძეზე გასდევდა შენობას. შენობის შუაში კი უზარმაზარი ოქროსფერი ჩუქურთმებით მოხდენილად შემკული კარები იყო დატანებული, რომელსაც ფართო, თეთრ თალებიანი, მრგვალჭერიანი სადარბაზოში შეეყავდით. სასტუმრო დარბაზი ტაძარს მოგაგონებდათ, ხოლო ოთხივე კედელზე გაკრული გობელენები და ძვირადღირებული სურათები, ხელოვნების ფასდაუდებელ ნიმუშებად ირაცხებოდა.

ყველაფერი პატრონის მალალ, ფაქიზ და უჩვეულოდ დახვეწილ გემოვნებაზე მეტყველებდა. ფასდაუდებელი სურათების ნახვა ხელოვნებათმცოდნეულ თუ ცნობის მოყვარე ადამიანებში ერთნაირად აღძრავდა დაუცხრომელ ინტერესებს ხელოვნების კორიფეებისადმი. ლუვრის მსგავს მუზეუმის



მეპატრონის კედლებიდან იმზირებოდნენ ბოტიჩელის „მადონა ანგელოზების თანხლებით“, ლეონარდო და ვინჩის „მადონა ლიზა“, მიქელანჯელოს „განკითხვის დღე“

და „მინდა ოჯახი“, რაფაელის „სიქსტეს მადონა“, და „პარნასი“, ჯორჯონეს „მძინარე ვენერა“, ტიციანის „მარიამ მაგდალინელი“ და ნიკო ფიროსმანის „გოგონა საჰაერო ბუშტით“, „აქტრი-სა მარგალიტა“, „ორთაჭა-ლის ტურფები“, „ირემი.“ ეს და სხვა ნაკლებად ცნობილი მხატვრების ტილოები დომებად აღიარებული ჭეშმარიტი გამარჯვების მაგალითები იყო. მათ შექმნეს მთლიანი სამყარო, რომლებიც ინტერესთა მრავალფეროვნებით ხასიათდება. შოთა მაინც ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული ნამუშევრებისკენ იხრებოდა. გულის სიღრმეში ყველა „მადონა“, მისი ლედის სახესთან ასოცირდებოდა და ეს სიამოვნებდა. ზოგჯერ როცა გულს სევდა შემოანვებოდა, შოთა მცირე ელეგიებსაც წერდა, სადაც შემოქმედდა სულის მეტყველება იგრძნობოდა.

მზის უპილავი რეპაზ პრისტავი

7 — ძველი საბერძნეთის ისტორიის დასაწყისი ზუსტად ემთხვევა იმ პერიოდს, როდესაც კავკასიიდან ლოკალური მძლავრი კატასტროფებისა და კატაკლიზმების პერიოდში, ქართველურმა ტომებმა და მათ შორის, პელაზგებმა, თავიანთი სამშობლო დატოვეს და ხმელთაშუა ზღვის რეგიონებში დასახლდნენ. პელაზგებმა დაიკავეს, ახლანდელი სახელმწიფო საბერძნეთის ტერიტორია და კუნძული კრეტა, ეს იყო დაახლოებით XVI-XV საუკუნე ჩვენს ერამდე.

ამ პერიოდიდან დაიწყო პელაზგთა ტომის ცივილიზაციის აყვავება და გაფურჩქვნა, რაც შემდეგ მთელს სამყაროში ელინთა (ელადის) ცივილიზაციის სახელით გახდა ცნობილი.

თვით ამ ხალხის ქართული სახელწოდება — ბერძენი, ორი ქართული სიტყვისაგან შედგება: ბერი ანუ იბერი და ძენი. ასე რომ თვით ქართველმა ხალხმა ამ ტომებს იბერიის ძენი უწოდა. როგორც ჩანს, საუკუნეების განმავლობაში ასო „ი“ შთაინთქა, დაიკარგა და იბერძენის ნაცვლად წარმოიშვა სიტყვა ბერძენი. იბერთა ძენის, პელაზგთა მოდგმის, ერმა მისცა მსოფლიოს შეუდარებელი პოეტები: ჰომეროსი, ევრიპიდე, აპოლონიოს როდოსელი, სოფოკლე... შეუდარებელი მოქანდაკენი: ფიდიასი, პაქსიტლი... გენიოსი ფილოსოფოსები: სოკრატე, პლატონი, არისტოტელე, პითაგორა, არქიმედე... ამ ხალხმა შექმნა სწორეუპოვარი ღმერთთა პანთეონი: ზევსი, აპოლონი, პრომეთე, პოსეიდონი, ჰადესი, არტემიდე, აფროდიტე, და ბევრი

სხვა. ამ ხალხმა მისცა მსოფლიოს მეცნიერებას განუმეორებელი და შეუდარებელი კანონები, რომელთა შედეგადაც მოხდა, შემდეგში, მეცნიერების მთელი რიგი დარგების განვითარება — დახვეწა, ბევრი სხვა.

ბერძენი ხალხის პირველი დაარსებული ქალაქი იყო ათენა. ეს სახელი წმინდა მეგრულ-ლაზური წარმოშობისაა და თანამედროვე ქართულ ენაზე ნიშნავს „აი ეს“ „აქ“.

როგორც ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, ძველი ნელთალრიცხვისა და ჩვენი ნელთალრიცხვის გასაყარზე, ხმელთაშუა ზღვის რეგიონში მოხდა დიდი მასშტაბების კატასტროფები, რამაც გამოიწვია, ამ უდიდესი ბერძნული ცივილიზაციის განადგურება და დანგრევა. მძლავრმა ვულკანურმა ამოფრქვევებმა მოსრეს და მიწასთან გაასწორეს ბერძენი ხალხის (პელაზგების) ნაამაგარი და ნამოღვანარი. ბევრი არქიტექტურული შედევრი ჩაიძირა და მინამ შთანთქა, დაიღუპა კრეტა

— მიკენის კულტურა. განადგურდა იბერთა ნაშიერების წარმომადგენელთა უმეტესი ნაწილი... სწორედ ამ ძნელბედობის ჟამს თავი იჩინეს ბარბაროსმა ტომებმა, რომლებიც კალიასავით შეესიენ და მოედგნენ საბერძნეთის ტერიტორიას, უდიდესი ცივილიზაციისა და კულტურის შემქმნელი ხალხის მცირე ნაწილი, ამ მოსულმა ბარბაროსმა ტომებმა შთანთქვეს და ჩაყლაპეს. ახალმოსულებმა დრო იმოვეს და ყოველივე, რაც ნამდვილი ბერძენების მიერ იყო შექმნილი. თვითონ დაისაკუთრეს, შემდეგ თავიანთ თავს „ელადის შვილები“ უწოდეს და ასე მოველინენ თანამედროვეობას ეს ფსევდო-ბერძენები.

თუ გონიერი ადამიანი თვალს გადაავლებს თანამედროვე ბერძენების ისტორიას, იგი შეამჩნევს, რომ ამ ხალხს, ბარბაროს ტომებს, არც პოეზიაში, არც ფილოსოფიაში, არც მეცნიერებაში, და არც ღმერთთა პანთეონში არავითარი შედეგები არ შეუქმნიათ. ისინი ბასრი, ბარ-

ბაროსისეული ბრჭყალებით ჩაებლაუჭნენ უძველეს დროში, მათ ტერიტორიაზე, გენეტიკურად სულ სხვა მოდგმის ხალხთა კულტურასა და ცივილიზაციას და მათი საშუალებით გამოიჩინეს თავი თანამედროვე მსოფლიო არენაზე.

თანამედროვე ბერძენები ანუ გრეკები, გენეტიკურად სულ სხვა მოდგმის ხალხია ვიდრე დიდი ცივილიზაციისა და კულტურის შემქმნელი ხალხი — პელაზგები (იბერები).

დღეისთვის მსოფლიოში თანამედროვე ბერძენები (გრეკები) ჩვეულებრივი ორდინალური ხალხია და კვლავაც ვიმეორებთ, რომ ძველი ელადის გენიოს ხალხთან არც ერთნიკური და არც გენეტიკური ნათესაობა მათ არ აკავშირებთ.

მიუხედავად ამისა, ისინი თავიანთ თავს ძველი ბერძენების შთამომავლებად თვლიან. ეს არის აზრის ფალსიფიკაცია, რასაც ვერ შეეგუება ქართველი ერი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



თამაზ მესხია მეუღლესთან ნანულ ანთიასთან ერთად

დიდ ქველმოქმედს – ბადრი გულორდავას

როცა შევხვდავ ბრწყინვალე ტაძარს, ნამსვე მიქრება ნაღველი, დარდი; ქიაჩის ხატის მოფერებისთვის მადლობას გწირავთ ბატონო ბადრი! მე ხომ ქიაჩის ხატზე ვლოცულობ, მომავალშიაც ვილოცებ მუდამ, — ქიაჩელების მეორე ხატო – მოკლედ ვთქვი აზრი, ის რაც გულს სურდა!

* * *

მადლობას გიხდის სოფლის სახელით, პატივი დავგვდე თამაზ რაკი, გთხოვთ, შეილიშვილებს შემოუნახოთ ჩემგან მიძღვნილი მცირედი ხარკი!

* * *

საქართველოვ, ვერვინ შეგაშინებს, ფეხზე გიდგას შენი ძე და ასული... შენ გულმკერდზე ვაზის ჯვარი გკიდია, ნინო წმინდას თმებით გადანასკვული!

* * *

საქორთუო, სი ვაგაშქურნას, გვალო ვაგაფუ ბედი დო იმენდი ჭვილი,- სი კისერც ბინეხიშ ჯვარ გიგობუ, ნინოწმინდაში თუმათ აკოსკვილი!..

სიცოცხლის ფასად

შენ ლუკმა-პური თუ დაგიჯდა სიცოცხლის ფასად, მაშინ სიცოცხლე არსობისა, თავად პურია, - თუ ჭიქა წყალი ვერ დალიე, ძმაო, უფულოდ, მაშინ ყოველთვის გწყურია... თუ ყველაფერი ფულია, მაშინ ეს ყველაფერი გწყურია... ფულია ხომ ყველაფერი — დროს ტარება თუ გართობა... მაგრამ რა ფული სჯობია ნამუსს და კაცურკაცობას! ნამუსი თუ გაქვს, კაცობა თუ გაქვს, მუდამ თან გახლავს დიდება, - რადგან ეს ორი სიმდიდრე ფულით არ გაიყიდება!..

* * *

მახსოვს, გაზაფხული ლამაზი, მახსოვს, ზამთარი მკაცრი... ვიცი, მე კარგად ვიცი, კაცი, რომ იყო კაცი! ვუყურებ და ვერ ვხვდები: ზაფხულია თუ ზამთარი... ვუმზერ და ვერ გამიგია — ლომი არი თუ აფთარი. ვუყურებ, გულზე ვსკდები, დღემდე მანუხებს რაც კი — ეს კაცი არის ქალი, თუ ეს ქალია კაცი?!

ზოგბირთვს

ვცოცხლობთ, ვწვალობთ და ვჯახირობთ, ხან ვკაცობთ, ხანაც ვნახირობთ, ხან მტერსაც ველაქუცებით, ხანაც ღვიძლ ძმაზე ვნადირობთ, ეს თქვენ გეხებათ, ქართველებს, ვინც კი პუტინთან სადილობთ! მან დაგვიხოცა გუშინწინ ჩვენი დები და ძმები, — რას სჩადით, ხალხნო!.. საფლავით ამოგძახიან ძმლები. თქვენ იქ მოსკოვში პუტინს გადაულოკეთ ტერფი... მადიმანებო, ფარსადანებო, თქვენ ერთმანეთის არგამტანებო, სკამზე ოცნებით ნერვებაშლილო, ილიას მკვლელო — ბერბიჭაშვილო! შენ მხოლოდ ტახტი გინდა და ვინ იცის, კიდევ რა გინდა, პუტინის ყიდვა მოგინდა და აქ პირველის გაყიდვა! თქვენ საქართველო აღარ გადარდებთ, გადარდებთ დიდი სკამი, რაც გხვდებათ, ბედმა გარგუნათ, ღმერთმა მისმინოს... ამინ!

უპარობა ჩემს ელებში

გარე ზღუდეს, ცივ, ბნელ, მხარეს სად იარე? გურტს გზად მხედავ, მოფერებით ვერ მახარე მინის სულად ვნებას იმკი დარდად არე უცხო ვიყავ მყოფი ჩემში, მეც მაკმარე. ვინ დაგიტევს გულს მორჩილად ან რას ფიქრობ? გზად მარტო ძრნი მით მომცველი, მვლელს რად მიმტრობ? შენი ბნელში თრობას მიქადს ფენა მწარე მთვარით ფერხილ ცით ბუნების ფიქრით მთოვარე. ვის მარადს ხდის ზღვად ტბორება შენმიერი სხვას ევლები უკვდავ სულად ჩემკარ მვლელი, არც მამხნევე, უცხოვდ მყავ ჩემ ხმად არ მღერი, ფიქრობ გიკვირს, რად ვარ დღემდე ქვეყნიერი. ვინ განსაცდელს ეჭიდება მცდელი სოფლის ქვე გზად, ლოცვად შრომის ვერ მდის ოფლი ფიქრობს, ვინც განვშორდი სულთ დიდებას ნეტარ მშობლის მწველ ცეცხლს, მინად რად არ ვფერფლობ, ვინ? რად მიქრობს.

მზიდს სიბრძნით სათუთ სულთვის "მთმენ" უღელში მით დროებას მე მარგუნებს ნებად ხელში, ცოდვით საზრდობს ალთ სიმნიფე ველად ცეცხლში, მკად მიმაგებს აზრი მქმედი მარადს ღრეში. დღეს ზნე დაძრწის არამშვიდი არედ ჩემში ბრმად არ გამხელ, ვერც მე ვხედავ დარს მზედ შენში, მარტო მტოვე სუსტი საცდურს ჩემ ედემში ხორცთ ჩაფლული, გარდამდგარი ცოდვით სენში. და ვერ ვპოვო საგზლად სულთვის წმინდა ოფლი როს ჰკრავს ზარი ჩემთვის მცდელი ნუთისოფლის, თუ წარვედი იმედმდარი შენი ლოცვის ვინ ინამებს ბნელს მეტკუროს დღე ზესოფლის. შენ გზად გიცქერ და არად ხარ ჩემ გზას მვლელი, მე თუ ვკვდები, ვკვდები სულთვის პირსისხლ მკვლელი, შენ თუ მშორდი, ცოდვას ვიმკი ჩემ დღეთ მთვლელი მარად სულთვის, არად ხორცთვის ვნებათ მგვრელი.


ვინ იცის?

ქვეს ავთათვის გამირად იწოდებიან ცხადს, დაცემულთა ნუთნ თვინიერნი, მით ხვედრად ბრძოლით არად წამხდართან მგომბებლად უწყით გამირნ სახნიერნი! მარწხთა ჟანგი მწუხარებისა იგ ქვეყნიერი ეული მტრისა მათზედ მწკპრ ბიჯი მხვედრ მასპინძლისა დასაბამი არს მარად შევებისა!

ნება ვინ კეთილ ნებად გხდის, ვინ გძენს ხორცსხმულსა ნათელ ფერს, შენ იცი მხლებლად ვინ გარს გდის შენს ძირთვან თვალთა ვინ იცქერს. ორთავ მხრით ხედვა ცხოვრების: ერთს შენგან მედგრად მით გიძგერს, მძიმედ გულს ნაწყვეტ სიმების სხვად რომელ სახვედ ქვეს იმღერს. თვალთ მღლელი წარმოსახვები გრძნობათ გზას განდგომილები, გდის სახნიერნი ზრახვები ნებათგან გულს შობილები. სიხვევით მშრალთა მღმობელსა გზად რეალობას ყოველსა, დიდობით ცოდვით მგმობელსა მთმენთ თვალთ კვალ, ნუთსა სოფელსა. მიუწვდენელი ნუთები, სხვათვის მცირობა დარდისა, „ხმათ“ გარიყული აზრები მზიდთ ვნებათ, სიღმეთ გულისა. ცხოვრების მომცველ ფიქრების, გულთთვის დარდთ მიმძღვნი მგოსნების, სილალე ბენვს ძლიერების მკად საუკუნო ცხოვნების.

მიზიკო მიქაპა

ლადო მრელაშვილი



მო, დავსხდეთ ერთად, ვინც სისიხლით ვართ ქართლოსის ძენი, სამყაროსავით ლამაზი და მასავით ძველი, დიაცებრ მაინც დავიტიროთ ჩვენი სამშობლო, დაცვა რომლისაც, როგორც ვაჟკაცთ, ვერ შევიძელით!..

ახალი წიგნები

წიგნი ახლა გასარიონისა პანისკ ხარანაული

...არასერიოზულობა, როგორც ადამიანის სერიოზული დამოკიდებულების ძალა არსებობის სიმძიმის მიმართ... მაგრამ ყველაზე ცუდი ის არის, რომ ადამიანს მაინც ეწვევა ხოლმე სერიოზული ფიქრები, რომელთა რაობასა და წარმომავლობაზეც არავითარი სერიოზული ცნობა არ გააჩნია.



თანამდები სული (ორ წიგნად) ნოდარ გრიგალაშვილი

ორტომეულში ავტორი დოკუმენტურ წყაროებზე დაყრდნობით დეტალურად აღწერს ილია ჭავჭავაძის ცხოვრებას, მოღვაწეობას და, ზოგადად, ილიას ეპოქას. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს წიგნის ის ნაწილი, სადაც ილიას მკვლელობის დღემდე სრულიად უცნობი დეტალები არის აღწერილი. დღემდე უცნობი საარქივო მასალების კვლევის საფუძველზე ავტორი მკვლელობის მოტივის, მისი დამკვეთებისა და ორგანიზატორების შესახებ სრულიად ახალ ვერსიას გვთავაზობს. წიგნი საინტერესოა როგორც სტუდენტებისა და პედაგოგებისთვის, ასევე ილიასა და მისი ეპოქის მკვლევრებისთვის.




შუშანიკის შვილები ანა კორკია-სამადაშვილი

„შუშანიკის სულელებს აჩენს და თბილისის ოკრობოკრო ქუჩებში უშვებს... შუშანიკის შვილები ადვილად საცნობი ხალხია. მათ იოლად მიატოვებენ ხოლმე, მაგრამ ძნელად ივიწყებენ. მათ დაბადებას და გარდაცვალებას არავინ ამჩნევს. შუშანიკის შვილები სიხარული არიან, უაზრო, მაგრამ სიხარული. რომ გაიფიქრებ, ნეტა, რა მიხარიაო, იცოდე — შუშანიკის შვილმა გვერდით ჩაგარა.“ შუშანიკის შვილები ამ რომანის გმირები არიან — ადამიანები ცხოვრების დასის დასაწყისში, ზრდასრული ადამიანები ბავშვური ოცნებებით. ადამიანები, რომლებიც მარტოსულები არიან, მაგრამ ეშინიათ მარტო დარჩენის, ადამიანები, რომელთაც უკვე აღარ სწამთ სიყვარულის, მაგრამ მაინც უყვართ.



ქართული ქრისტიანული ხელოვნება დიმიტრი თუშანიშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევის ცენტრის მიერ გამოიცა წიგნი „ქართული ქრისტიანული ხელოვნება“. წიგნში წარმოდგენილია ქართული ქრისტიანული ხელოვნების განვითარების მრავალსაუკუნოვანი გზა IV საუკუნიდან XXI საუკუნის ჩათვლით და ასევე შესულია ქართული საეკლესიო ხელოვნების საუკეთესო ნიმუშები. წიგნი ეძღვნება მისი უწმინდესობის, საქართველოს კათალიკოს პატრიარქის ილია II-ის იუბილეს. წიგნი ქართულ და ინგლისურ ენებზეა.



შეხვედრა ნუგზარ შატაიძე

კრებულში შესულია მწერლის მიერ სხვადასხვა დროს დაწერილი მინიატურები, ნოველები და მოთხრობები, რომლებიც წიგნის შემდგენელთა განცხადებით, ყველაზე კარგად ასახავს მისი შემოქმედების სადასხვა ეტაპს. ამ წარწერებზე ნაწილი კრებულის სახით პირველად დაიბეჭდა. იგი ავტორია არაერთი ცნობილი მოთხრობის, პიესის, რადიოპიესისა და სცენარისა. როგორც წლის საუკეთესო პროზაული კრებულის ავტორმა 2005 წელს ნუგზარ შატაიძემ, კრებულისათვის „ნოემბრის წვიმა“, ლიტერატურული პრემია „საბა“ მიიღო, ხოლო მისი სცენარის მიხედვით გადაღებულმა მხატვრულმა ფილმმა „გაღმა ნაპირი“ მსოფლიო აღიარება და არაერთი ჯილდო მოიპოვა.





წოცა ორმოცდამეათედ ცვივა ფიფქები

ლოცა გვერდს შესანიშნავი მემულლე, მამულისთვის სასიკეთოდ აღზრდილი შვილები, ასობით დაფრთიანებული მოსწავლე და ერთსულოვანი კოლექტივი გიმშვენებს, როცა გაფასებს და უყვარხარ არა მარტო სოფელს, არამედ რაიონსაც.

დიახ, 50-ს გადააბიჯა ობუჯის საჯარო სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა მარინე ფიფქამ. მისი ბიოგრაფია ასობით საბჭოთა ახალგაზრდის ბიოგრაფიას ჰგავს.

დაიბადა 1961 წლის 17 იანვარს მშრომელ, პატიო-

სან ოჯახში. ადრე დაობლებული 5 შვილი ღირსეულად აღზარდა სულით ძლიერმა დედამ, ლია კვარაცხელიამ.

სკოლის წარმატებით დამთავრების შემდეგ ჯერ დანყებითი განათლებისა და პედაგოგიკის ფაკულტეტი დაამთავრა შემდეგ ფილოლოგიის. მუშაობდა ჯერ ოქანეს, შემდეგ ობუჯის საშუალო სკოლებში.

შემოქმედი, ინიციატივანი პედაგოგი ჯერ ორგანიზატორად აირჩიეს, შემდეგ დირექტორად და 4 წელია ამ საპატიო მოვალეობას ღირსეულად ასრულებს.

50-ედ ჩამოცვივდნენ

ფიფქები მის ცხოვრებაში, მაგრამ დაზამთრებამდე ჯერ კიდევ შორია, როგორც ფიზიკურად, ისე სულიერადაც.

გილოცავთ ქალბატონო მარინე! კიდევ მრავალ ზამთარს ჩაველოს თქვენს ცხოვრებაში და თქვენი სული, მზიანი ნათელი დღეებით აევსოს.

გილოცავთ!!!

გიორგი მებონიას სახელობის ობუჯის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი,

გაზეთი „ნოჯიხური“

წინ კიდევ!

ცხოვრება საოცარი რამეა, წლები ჰეპლებივით მიქრია, ორმოცდაათია? რა მოხდა, ეს ხომ ერთი გრძელი ფიქრია? სიცოცხლის კიდობანს ავსებენ დღეები, ნელ-ნელა გავლილი, მყარად, ღირსეულად დამკვიდრდე, ეს სულაც არაა ადვილი. და როცა შენ მრავალს უყვარხარ, ძალიან გაფასებს მრავალი, ეს ნიშნავს, რომ წლები გასულნი არიან ღირსეულად ნავალნი. წინ კიდევ ახალი გზებია, მწვერვალებს დალაშქვრა სჭირდებათ, მეუღლით, შვილებით და სკოლით ბედი ბევრ სიხარულს გაპირდება.

მანანა კაკაჩია
2011 წ.



გვასახედა

აკაკი დავითის ძე ფიფია დაიბადა 1991 წლის 30 ივნისს წალენჯიხის რაიონის სოფელ ობუჯში. 1997-2009 წლებში სწავლობდა ობუჯის საშუალო (2005 წლიდან საჯარო) სკოლაში.

სწავლის პერიოდში აკაკი ფიფია გამოირჩეოდა სანიმუშო დისციპლინითა და მაღალი მოსწრებით.

აქტიურად მონაწილეობდა სასკოლო ოლიმპიადებში და სხვა კონკურსებში. მას ყოველთვის ახასიათებდა სწავლისადმი სწრაფვა და საქმისადმი მაღალი პასუხისმგებლობა.

როდესაც 2008-09 სასწავლო წელს მოსწავლეთა რესპუბლიკურ ოლიმპიადებში მონაწილეობის მისაღებად ობუჯის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა მუშაობა და-

ინყეს, ერთ-ერთი აქტიური წევრი აკაკი ფიფია გახლდათ. შეირჩა თემა-პროექტი „რა განძი გვექონია!“ რომელიც მიზნად ისახავდა ობუჯის ისტორიულ ძეგლთა შესწავლას, ტურიზმით დაკავებულ პირთა მოზიდვას, პროექტით დაინტერესებას. აკაკი ფიფიამ შეადგინა რუქა, — რაიონული ცენტრიდან სოფლის ისტორიული ძეგლებისაკენ, მიმართული მარშრუტებით, გავიდა ძეგლების ტერიტორიაზე და დაასურათა. შემდეგ ყველა ფოტომასალა დაახარისხა და ჯგუფთან ერთად დაიწყო სა-

ინტერესო ნამუშევრის მომზადება.

აკაკი ფიფიამ სკოლა ვერცხლის მედალზე დაამთავრა და იმავე წელს ჩაირიცხა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე. ამჟამად აკაკი ფიფია მეორე კურსის წარმატებული სტუდენტია. ვულოცავთ ნიჭიერ სტუდენტს პირველ წარმატებას და ვუსურვებთ ჯანის სიმრთელეს, დიდ სიხარულს, ბედნიერებას და მორიგ დიდ წარმატებებს სწავლასა და შემოქმედებით საქმიანობაში!

წარმატებული სტუდენტი ნინო კაკაჩია



კი ფიფია და რომეო ფიფია). ჯგუფის კაპიტნად არჩეულ იქნა ნინო კაკაჩია — შრომისმოყვარე, პასუხისმგებლური, კომუნიკაბელური, პოეზიის მოყვარული, ერუდირებული ახალგაზრდა.

ნინოს ხელმძღვანელობით ჯგუფმა მოახერხა ისტორიული ძეგლების — ობუჯის ნამონასტრალის, ჯალირის ციხე-სიმაგრისა და საკულტო ნაგებობა „მისარონის“ ტერიტორიებზე გასვლა, დასუფთავება, დასურათება, სოფლის უზუცესებთან გასაუბრება და ინტერვიუს ჩაწერა.

ჯგუფის წევრებს ასევე შეხვედრები ჰქონდათ ზუგდიდში — ვლადკერნის ყოვლანმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის საკათედრო ტაძრის წინამძღოლთან მამა მაღხაზთან, ისტორიის მეცნიერებთან, დოქტორთან, პროფესორთან, ზუგდიდის ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმის მეცნიერ თანამშრომელთან, ანგარდაცვლილ ბატონ აბესალომ ტულუშთან.

დაიწყო თემა-პროექტზე მუშაობა. მთავარი მიზანი გახლდათ არქეოლოგთა და-

ინტერესება და ისტორიული ძეგლების, განსაკუთრებით კი ნამონასტრალის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების დაწყება.

2010 წლის თებერვალ-მარტში ნინო კაკაჩიამ მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციაზე, რომელსაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემია და მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე ყოველწლიურად ატარებს, წარადგინა ნაშრომი — „რა განძი გვექონია!“ ამ ნაშრომისთვის ნინო კაკაჩია დაჯილდოვდა მეორე ხარისხის სიგელით.

ნინო კაკაჩია ვერცხლის მედალოსანია.

ამჟამად ნინო წარმატებით სწავლობს ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში (სეუ), ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე.

ობუჯელთა სახელით წარმატებულ სტუდენტს ვუსურვებთ მტკიცე ჯანმრთელობას, ბედნიერებას და ახალ-ახალ წარმატებებს სწავლასა და შემოქმედებაში!

მაღალი ღმერთი იყოს ნინოს მფარველი!


ვალერი კაკაჩია

ღმერთო, გამიზარდე...



ძმები — ლუკა და მათე კვარაცხელიები (წალენჯიხა-ჯგალი)

„მთბმეთა სისხლი ცაში ღმერთს შესჩიხეს და სამათალს ითხდეს...“



(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ნოჯიხური“ №3, 5, 8, 9, 15, 20)

ვაგრძელებთ კანონიერების აღდგენის-სათვის დაცემულ პატრიოტთა მოკლე მონაცემების ბეჭდვას.

ღმერთმა აცხონოს ეროვნული ღირსების დაცვისათვის ბრძოლაში დაღუპული გმირები.

* * *

146. თენგიზ კეზუა – დაიბადა, 1974 წელს ზუგდიდში. მოკლეს „მხედრონელებმა“ 1992 წლის 12 ნოემბერს ზუგდიდში.

147. ზაზა გადელია – დაიბადა 1963 წელს ზუგდიდში. მოკლეს „მხედრონელებმა“ 1992 წლის 12 ნოემბერს, ზუგდიდში.

148. ზაზა ნასარიძე – დაიბადა 1967 წელს ამბროლაურის რაიონ სოფელ კრიხში. მოკლეს „გვარდიელებმა“ 1992 წლის 10 იანვარს თბილისში.

149. როლანდ ხურცილავა – დაიბადა 1955 წელს ზუგდიდში. დაიღუპა „მხედრონელებმა“ შეტაკებისას 1992 წლის 30 სექტემბერს, ხობში.

150. გონელი სალია – დაიბადა 1961 წელს ნალენჯიხაში. მოკლეს „მხედრონელებმა“ 1992 წლის 30 სექტემბერს, სენაკში.

151. გრიშა გულბანი – დაიბადა 1953 წელს მესტიაში. მოკლეს „მხედრონელებმა“ 1992 წლის 30 სექტემბერს, სენაკში.

152. რევაზ სტურუა – დაიბადა 1960 წელს სამტრედიამი. დაიღუპა 1992 წლის 5 სექტემბერს „გვარდიასთან“ შეტაკებისას მარტვილში.

153. სოსო გელია – დაიბადა 1963 წელს სენაკში. მოკლეს „მხედრონელებმა“ 1992 წლის 1 ოქტომბერს ხობში.

154. რენო ლეინჯილია – დაიბადა 1937 წელს ნალენჯიხაში. მოკლეს „მხედრონელებმა“ 1992 წლის 6 ივლისს ნალენჯიხაში.

155. ჯემალ ქოჩია – დაიბადა 1952 წელს ზუგდიდში, დაიღუპა გვარდიასთან შეტაკებისას 1992 წლის 9 მარტს, ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხში.

156. კოტე თოდუა – დაიბადა 1951 წელს ზუგდიდში. დაიღუპა „გვარდიასთან“ შეტაკებისას 1992 წლის 9 მარტს ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხში.

157. გურგენ ნიჭარაძე – დაიბადა 1948 წელს ლენტეხში. დაიღუპა „გვარდიასთან“ შეტაკებისას 1992 წლის 9 მარტს, ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხში.

158. რამინ ჩანგელია – დაიბადა 1973

წელს ზუგდიდში. დაიღუპა „გვარდიასთან“ შეტაკებისას 1992 წლის 9 მარტს, ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხში.

159. დავით ჯანაშია – დაიბადა 1974 წელს ზუგდიდში. დაიღუპა „მხედრონელებმა“ შეტაკებისას 1992 წლის 28 იანვარს, ზუგდიდის რაიონის სოფელ ცაიში.

160. ფრიდონ როგავა – დაიბადა 1960 წელს ზუგდიდში. დაიღუპა „მხედრონელებმა“ შეტაკებისას 1992 წლის 28 იანვარს, ზუგდიდის რაიონის სოფელ ცაიში.

161. მალხაზ ალექსანდრია – დაიბადა 1957 წელს ფოთში. დაიღუპა 1992 წლის 2 იანვარს „გვარდიასთან“ შეტაკებისას ფოთში.

162. მალხაზ ხურცილავა – დაიბადა 1963 წელს ზუგდიდში. დაიღუპა 1991 წლის 22 დეკემბერს თბილისში, მთავრობის სახლის დაცვისას.

163. სერიოჟა კალანდია – დაიბადა 1946 წელს მარტვილში. დაიღუპა 1991 წლის 22 დეკემბერს თბილისში, მთავრობის სახლის დაცვისას.

164. კაკო მიქაია – დაიბადა 1971 წელს ზუგდიდში. დაიღუპა 1991 წლის 22 დეკემბერს თბილისში, მთავრობის სახლის დაცვისას.

165. არჩილ რამიშვილი – დაიბადა 1974 წელს თბილისში. დაიღუპა 1991 წლის 22 დეკემბერს თბილისში, მთავრობის სახლის დაცვისას.

166. ანზორ შენგელია – დაიბადა 1954 წელს ზუგდიდში. დაიღუპა 1991 წლის 27 დეკემბერს თბილისში, მთავრობის სახლის დაცვისას.

167. გელა ესებუა – დაიბადა 1965 წელს ზუგდიდში. დაიღუპა 1991 წლის 30 დეკემბერს თბილისში, მთავრობის სახლის დაცვისას.

168. გული ტალიკაძე – დაიბადა 1957 წელს ტყვარჩელში. დაიღუპა 1991 წლის 30 დეკემბერს თბილისში, მთავრობის სახლის დაცვისას.

169. რევაზ ტვილიანი – დაიბადა 1952 წელს სოხუმიში. დაიღუპა 1991 წლის 27 დეკემბერს თბილისში, მთავრობის სახლის დაცვისას.

170. თენგიზ ქაჯაია – დაიბადა 1963 წელს ხობში. დაიღუპა 1991 წლის 27 დეკემბერს თბილისში, მთავრობის სახლის დაცვისას.

მომავალ ვალერი ძაძაშიამ (გაგრძელება იქნება)

„უცნობიდან, მწამს, ყველას გვლოცავ!“

ჩემი ნათესავის, რადუბ ნაჭყებიას ნათელ ხსოვნას



წლების წინ გვეკონდა დენი მზიანი და აღმაფრენით ვსერავდით ზეცას... დღეს, ვისაც უდგას დღე სევდიანი ძმად, მათ შორის, ერთ-ერთი მეც ვარ! რა აზრებებს ავკაცთა მოდგმას, ან რა ნამუსით დადიან ნეტავ?... იქ შენს საფლავთან ვარდებით რომ დგას ვიცი, ვინც არის – ტანჯული დედა! მძიმე ფიქრებით აღმართს ავდივარ, ვისხენებ წარსულს და... მეტრალეები; იმ მონაკვეთზე როცა გავდივარ სულ მისველდება ცრემლით თვალები! დღეს რამდენი გვყავს შენებრ ვაჟკაცი? – (მყევრის თვისებით ზოგი „ქებულა“); გასაოცარი დგას გარიჟრაჟი –

ცვედანნი როგორ მომრავლებულან! ვაი, სადღაა აქ სამართალი? იზიემებს კი ნეტავი, ოდეს? ან სად აფარებს თავს გარეწარი, - შენ მინა გჭამდეს, ის დადიორდეს? დარჩენილია საუფლო ობლად, - თუმც მირონი სდის ღვთისმშობლის ხატებს;

და მაინც ღირდა ამქვეყნად მოსვლა, შენი ხატება მე რწმენას მმატებს! გაუსაძლისი თუმც ზეობს ყოფა, ვერ აისრულებს ბოროტი ქადილს... შენი სახელის უკვდავსაყოფად შენი ძმისშვილი რადუბი დადი! იმ მონაკვეთზე ხშირად გავდივარ და მისველდება ცრემლით თვალები; მძიმე ფიქრებით აღმართს ავდივარ, ვისხენებ, მიმძიმს და... მედარდები! რა თბილი იყო ის შენი გული, - არ მოგკლებია დედისგან ლოცვა... ბრინჯაოში ხარ თუმც ჩამოსხმული, - ზეციურიდან, მწამს, ყველას ვლოცავ! ვისხენებ წლებს და მეკვრება სუნთქვა, - ერთად ყოფნის წლებს, მართლაც მშვენიერს; რომ არ ნამილოს ამ სევდამ სულ მთლად, ეს ლექსი ფარად მოვიშველიე!

ვალერი ძაძაშია 14 მარტი, 2011 წელი

სიცოცხლე მხოლოდ ხსოვნაში ბრქელდება

დაბრძანებულა გაზაფხული და დასათმო-ბად არ ემეტებოდა საუფლო. ხასხასა სიმწვანეში ჩაფლულიყო მიდამო, ოთახში, ღია ფანჯრებიდან, შემოჭრილი გაზაფხულის სურნელიც უჩვეულო განწყობას ბადებდა. ყველას ეგრძნო გაზაფხულის მოახლოება ძალუმად, მამას კი ვერა.



ჩვენთანაა და ფუტკარივით ისევ ოჯახზე ზრუნვამა ჩაფლული ...

სამწუხაროდ, ამაოა ჩემი მოლოდინი... მაინც მხნედ მადგას მამის დათოვლილი მზერა...

ყოველი გახსენება საშინელი ტკივილია ჩვენთვის. მაინც რა საოცარი იყავი, ყველაფერი გიხაროდა, გულით დიდ სიყვარულს ატარებდი, ყოველთვის ახერხებდი სხვისთვის ხელის განვდენას, ყველას უანგაროდ ეხმარებოდი, სამაგიეროდ კი არაფერს ითხოვდი.

მამა! ძალიან გვაკლიხარ, ძალიან გვეჭირდება, მიიმეა უშენოდ ჩვენი ცხოვრება. ძლიერ გვენატრები... ვაგლახ, სიცოცხლე მხოლოდ ხსოვნაში გრძელდება.

გვეჯერა, რომ შენი მუდმივი სამყოფელი ცათა სასუფეველია, სადაც მართალნი განისვენებენ.

თინათინ მიქაია.

მარინე ზარქუას ტკივილიანი მონატრება

არაფერია ამქვეყნად ტკივილზე საშინელი და მონატრებაზე ძნელი. მაგრამ ცხოვრება გრძელდება (ამას თუ ცხოვრება ჰქვია). უშენოდ ცხოვრებამაც და სიცოცხლემაც დაკარგა აზრი. ვერავინ უმსუბუქებს გაუნელებელ ტკივილს შენს ღამაზე ოჯახს, სანათესაოს, მეგობრებს, სოფელს, რაიონს.



მარინე

16 თებერვალი შენი ჩვენგან განშორების დღეა. ძალიან ძნელია შევეგუოთ იმ აზრს, რომ აგერ უკვე 4 წელია შენ ჩვენს შორის აღარა ხარ. უღმობელმა სიკვდილმა არ დაგინდო, ადრე მიილია განგების მიერ შენთვის ნაბოძები ნუთისოფელი, დაიმსხვრა შენი ოცნებები, გაქრა შენს მიტოვებულ ოჯახში სიხარული და ბედნიერება.

მარინე, ყველას ახსოვს, განუჟურნებელ სენს ნლობით უმკლავდებოდით, გაუსაძლის ტკივილებს საოცარი ძალით თრგუნავდი, შენთან მოსულ ხალხს ჩვეული სითბოთი და ღიმილით ასაჩუქრებდი, ლოცავდი და ისე უშვებდი.

მოსაყოლს რა გამოლევს, მაგრამ ერთს ვიტყვი მხოლოდ: შენს მიერ განვლილი ცხოვრება ჩვენი სიამაყეა!..

გვენამს, რომ შენი ღამაში, განუმეორებელი ღიმილი და სითბო ზეციურიდან მწედ შეეხიდება შენს მეუღლეს – იგორ ფიფიას და შენს საფიცარ ვაჟკაცებს – კობა და შოთა ფიფიებს!

უფაღს ვთხოვთ, მარადიულ ცათა სასუფეველში დაამკვიდროს შენი ფაქიზი სული, ამინ!

ვალერი ძაძაშია

მანანა კაკაჩია 09.04.2007

ნოჯიხური

რედაქტორი — ვალერი ძაძაშია

„ნოჯიხურის“ მისამართი: ნალენჯიხა-ობუჯი ლეო ქიაჩელის №36. ტელ: 890 16-96-22 გამოიცემა 2005 წლის ოქტომბრიდან

აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ

„სამეგრელოს ქრონიკის“ რედაქციაში მისამართი: ზუგდიდი, რუსთაველის №84 ტელ: 8 (215) 2-01-29; 858 374-888; 899 62-65-61 დამკაბადონებელი — თეა მიშველია ტელ: 855 49-22-07